121

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4,
მე-3 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
მე-2 სართული ტელეფ. 5-48.

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 132 სამშაბათი 12 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000 მან. № 132

დღიური

ამერიკის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს გერმანიის ახალი ნოტის გამო.

შვეიცარიის საპასუხო ნოტაზე ამხანაგ ვოროვსკის მოკვლის შესახებ—ამხ. ჩიჩერინმა შვეიცარიის მთავრობას გაუგზავნა ახალი ნოტა.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულება სავსებით და საბოლოოდ დაამტკიცა დანიის პარლამენტმა.

რუსეთს და სპარსეთს შორის მეგობრული ურთიერთობა მტკიცდება.

„კომუნისტი"-ს რედაქცია გადავიდა

ახალ ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული
(მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი ბინა).

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, პარასკევს, 15 ივნისს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმულ იქნეს „ეროვნული საკითხი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში".

როგორც მასალით უნდა ისარგებლონ მე-XII ყრილობის რეზოლიუციით ამ საკითხის შესახებ და ამხ. სტალინის მიერ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებით.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: **რუბენი.**

ბლოკადის გარღვევა გრძელდება

თავის საიდუმლო დეპეშებში, რომლებიც მან გაუგზავნა რომის წთავრობას, იტალიის წარმომადგენელი მოსკოვში, მოქ. ამადორი, ანვითარებდა რა გეგმას რუსეთიდან ევროპის წარმომადგენლების შეთანხმებულათ გაწვევისა და ამნაირათ რუსეთის იზოლაციის შესახებ, წინდახედულათ იმ აზრსაც ატარებდა, რომ, თუ რომელიმე სახელმწიფო (სახეში ყავდა უმთავრესათ გერმანია) არ მიიღებს მონაწილეობას ამ შეთანხმებულ გამოსვლაში და გააგრძელებს რუსეთთან ეკონომიურ თანამშრომლობას, ჩვენ ე. ი. იტალია, საკმაო დრო დაგვრჩება კვლავ დავიბრუნოთ დროებით მიტოვებული პოზიციები. უნდოდა თუ არა ეს ფაშისტების წთავრობის წარმომადგენელს, მაგრამ მან თავისი **საკუთარი** პატიოსანი პირით აღიარა ის, რაც უამისოდაც აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას: მაშინაც კი, როდესაც ეგრედ წოდებული „შეთანხმების" სახელმწიფოები „თანხმობით" გამოდიან რუსეთის წინააღმდეგ, ისინი, რომ იტყვიან, „კოჭებში" უყურებენ ერთი-მეორეს და ურთიერთ მიმართ უაღრესი უნდობლობით არიან მოცული. რომ მათი საერთო ინტერესია რევოლიუციის მუდმივი კერის ჩაქრობა—ეს ცხადია ყველასათვის. მაგრამ ინტერესთა სხვა და სხვაობა ამ სახელმწიფოების მქონებელ კლასთა შორის იმდენათ დიდია, წინააღმდეგობა იმდენათ ღრმა სხვა და სხვა ქვეყნებში და სხვა და სხვა ეკონომიურ სარბიელზე, რომ გარკვეულ მომენტში შეუძლებელი ხდება მათთვის შეთანხმებული მოქმედება, რომელსაც დამღუპველი ეფექტი ექნებოდა საბჭოთა კავშირისათვის. მათ ინტერესთა ასეთი წინააღმდეგობით ჩვენ არა ერთხელ გვისარგებლია წარსულში. ეს წინააღმდეგობა იყო სწორეთ ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი იმ გამარჯვებების, რომლებსაც მივაღწიეთ ჩვენ დღემდე გარშემორტყმულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ბრძოლაში.

დღესაც, რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის დროს, შეუწყვეტელი მოლაპარაკება სწარმოებს რუსეთისა და მთელ რიგ სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ხელშეკრულებათა დასადებათა და ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დასამყარებლად. კერზონის ნოტით გამოწვეულ რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის გამწვავების დროს რუსეთს ესტუმრა საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეების დელეგაცია და საფრანგეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელი, გენერალი პო, მადლობას უხდის პარიზში ჩასულ რუსეთის წითელი ჯვრის წარმომადგენლობას ამხ. უსტინოვის მეთაურობით, იმ მხურვალე შეხვედრის გამო, რომლის ობიექტი შეიქნა მოსკოვში საფრანგეთის დელეგაცია. საქმიანი მოლაპარაკება იწყება იაპონიასთან, ასეთივე მოლაპარაკება სწარმოებს ფინლიანდიასთან, შვეციასთან. უკანასკნელი რადიოს ცნობით დანიის პარლამენტმა რატიფიკაცია უყო რუსეთისა და დანიის შორის წარსულ კვირაში დადებულ ხელშეკრულებას. ამასთან ერთად აღსანიშნავია ერთი საინტერესო გარემოება. ამ ხელშეკრულების გარჩევის დროს დანიის პარლამენტში, კონსერვატიულმა პარტიამ წინადადება შეიტანა გადაედოთ სხვა დროისთვის მისი რატიფიკაცია, რადგან, შეიძლება, ინგლისმა შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთანო. ხმის დიდი უმრავლესობით, სახელდობრ, 105 ხმით 28-ს წინააღმდეგ, ეს წინადადება უარყოფილ იქნა და ხელშეკრულება დამტკიცებული. როგორც დღევანდელი დეპეშებიდან მკითხველები დაინახავენ, ამ ფაქტში ხედავენ დანიაში დიდ დიპლომატიურ-პოლიტიკურ გამარჯვებას საბჭოთა რუსეთისას. ასე სწერს ცნობილი გაზ. „პოლიტიკენ", რომელიც გამოდის დანიის უდიდესი კრიტიკოსის, გეორგ ბრანდესის, მუდმივი თანამშრომლობით.

ამნაირათ საბჭოთა ქვეყნების იზოლიაცია კვლავ ოცნებათ რჩება. უკვე ორი წლის წინათ გარღვეული ეკონომიური ბლოკადის შეკოწიწება მოუხერხებელი ხდება. რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკების განმავლობაში ერთ დროს ათამაშებული მადა ურკარტის კომპანიისა სცხრება და კერზონის შანტაჟური გამოსვლაც, რომლის მიზანი იყო „ზღვის დაწვა" თავდება ისე, როგორადაც შეიძლებოდა დათავებულიყო უბრალო მშვიდობიანი მოლაპარაკებაც სადავო კითხვებზე, ასე რომ სრულიადაც არ ყოფილიყო დიპლომატიური ზარბაზნების ქექა-ქუხილი.

ევროპის და მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია მოწადინებულია, თუ ვერ მოახერხებს იარაღით ხელში რუსეთის დაჰყრობას, ყოველ შემთხვევაში მისი ეკონომიური ძლიერების შეფერხებას. მაგრამ იმ მიმზიდველი სიმდიდრის გამო, რომელსაც შეიცავს რუსეთი, საქმიანი წრეები ამჯობინებენ ნაკლების მიღებას, ვინემ ერთბაშათ ბევრზე ოცნებას. ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობა გარდა ამისა და ქვეყნის შინაურ-ეკონომიური მოთხოვნილება უკარნახებს მათ რუსეთთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის დაწესებას. ამ მდგომარეობით მოხერხებულათ ისარგებლებს საბჭოთა კავშირი. ის ხელიდან არ გაუშვებს არცერთ საშუალებას ამ მიზნისთვის და გააგრძელებს შინაური ძალების დაგროვებას ყოველგვარ მოსალოდნელ შესაძლებლობაზე საკადრისი პასუხის გასაცემათ.

საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

15 ივნისს გაიხსნება სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა. მეორე ყრილობას, რომელიც მოწვეული იყო გასული წლის თებერვალში, მოუხდა განსაკუთრებულ პირობებში მუშაობა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო პროფესიონალური კავშირების ამოცანები და მუშაობის მიმართულება საგრძნობლად შეიცვალა იმ დროში. მეორე ყრილობა ჩატარდა გარდამავალ ხანაში. ძველი ამოცანები შეიცვალენ, ახალის კი დასახული იყო მხოლოდ კონტურები. წინდაწინ შეუძლებელი იყო ამ ახალი ამოცანების დეტალურად განსაზღვრა და პროფკავშირების მუშაობის მთელი მხარეების გარკვევა. ყრილობაც არ იყო მომზადებული ამისათვის. ეს საკითხები წამოიჭრენ ყრილობის მუშაობის დროს. აქედან ცხადია, რომ პრაქტიკულად ამ ახალ ამოცანების ცხოვრებაში გატარება არც ისე ადვილი იქნებოდა, მაგრამ კავშირებმა მისი გატარება ცოტად თუ ბევრად შესძლეს.

მეორე ყრილობიდან მესამემდე განვლო 1 წელიწადზე მეტმა. ამ დროის განმავლობაში პროფესიონალურმა კავშირებმა შესძლეს თავის მუშაობის ახალ მეთოდზე დაყენება. ამ მხრივ უკვე ჩვენ ხელთ არის მთელი წლის გამოცდილება. თითქმის ყველა საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ახალ ამოცანებთან შესწავლილია პრაქტიკულად თავისი წვრილმანებით. თუ კი მეორე ყრილობის წინაშე ახალი ამოცანების გატარების საკითხები ბუნდოვანად იდგა, მესამე ყრილობამ უკვე იცის თუ რა შედეგებს იძლევა მათი ცხოვრებაში გატარება. ამიტომ მესამე ყრილობის მუშაობა უმთავრესად მიმართული იქნება მეორე ყრილობის მიერ მიღებულ ახალი გეზის გამტკიცებისაკენ. მან უნდა გადასინჯოს ჩატარებული მუშაობა, მოუყაროს თავი მთელ გასულ დროის გამოცდილებას, ამით გამოასწოროს მუშაობის ესა თუ ის სუსტი მხარეები და დაისახოს მომავალ დროისათვის მოქმედების უახლოესი მიზნები.

ამრიგად პროფკავშირების მეორე ყრილობამ დასახა ახალი ამოცანების საერთო მიმართულება, მისი კონტურები, მესამე ყრილობა კი, დაეყრდნობა რა მის გატარების პრაქტიკულ გამოცდილებას, გარკვეულად აღნიშნავს თავის დადგენილებებში ამ მიმართულების ყველა მხარეებს და საბოლოოდ განამტკიცებს მათ ცხოვრებაში.

ყრილობის წესრიგში დასმულ საკითხებში მთავარი მნიშვნელობა აქვს სატარიფო-ეკონომიურ, საკულტურო და საორგანიზაციო საკითხებს, რამდენადაც ისინი ამოსწურავენ პროფკავშირების მუშაობის მთელ მხარეებს. რაც შეეხება ყრილობის სხვა საკითხებს, მათ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენად დაკავშირებული არიან პროფკავშირების მუშაობასთან.

სატარიფო საკითხში ყრილობამ უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ სატარიფო პოლიტიკა, რომელიც ამ უკანასკნელ დროში ტარდებოდა, იყო სწორი. ამ პოლიტიკამ ხელფასი საგრძნობლად გაზარდა გასულ წლებთან შედარებით. ხელფასის გაზრდით გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც, მაგრამ ვინაიდან სახალხო მეურნეობა მთლიანად ჯერ კიდევ ვერ არის მაგარი და ეტყობა კიდევ მერყეობა, სამუშაო ხელფასის ზრდა დროებით უნდა შეჩერებულ იქნას. ხოლო დაშვებული არ უნდა იქნას მიღწეულ რეალურ რაოდენობის დაწევა. იქ, სადაც ხელფასი მცირეა—კავშირებმა უნდა ეცადონ მის გადიდებას არსებულ ხელფასის საშუალო რაოდენობამდე. უნდა გადიდებული იქნას აგრეთვე ხელფასის სახელმწიფო მინიმუმი, კოლექტიურ ხელშეკრულებების მინიმუმამდე. მომავალში ხელფასის გაზრდა და საერთოდ შრომის პირობების გაუმჯობესება, დამოკიდებული იქნება სახელმწიფო წარმოების მდგომარეობაზე. წარმოების განვითარებისათვის კი საჭიროა ახლო მომავალში ისეთი ზომები, როგორც წარმოების კონცეტრაცია, შტატების შემცირება, ზედმეტი ხარჯების შემოკლება, ნაწარმოების გაიაფება და სხვა. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიონალურ კავშირებმა. საერთოდ კავშირები ახლო უნდა იდგენ წარმოებებთან, იცოდენ მისი მდგომარეობა და ყოველ მხრივ ეცადონ წარმოების საქმის სწორად დაყენებას. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გაზრდას. უნდა შემოღებული იქნას მაქსიმალური შესაძლებელი გამომუშავების ნორმები. ამ საქმეში კავშირებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ ხელშეკრულებების დადებას. ხელშეკრულების პირობები უნდა აღიდებდენ შრომის კანონთა ნორმებს მხოლოდ იმ შემთხვევებში და იმ რაოდენობით, როცა და რამდენადაც ამ გადიდებულ ნორმების შესრულების გარანტიას ვხედავთ წარმოება-დაწესებულებებში დასადებ კოლექტიურ ხელშეკრულების პირობები უნდა უსათუოდ გაცნობილი იქნას იმ წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეების მიერ, რომელთათვისაც ხელშეკრულება იდება.

კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს და აგრეთვე სხვა შემთხვევაში აღმოცენებული კონფლიქტების გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს, რამდენად ეს შესაძლებელია, შეთანხმების წესით. უკიდურეს შემთხვევაში კი კავშირებმა უნდა მიმართონ საარბიტრო გარჩევის წესს (სამედიატორო სასამართლოს). შემფასებელი—საკონფლიქტო კომისია, როგორც კონფლიქტების გარჩევის პირველი ინსტანცია, უნდა დაყენებული იქმნეს სათანადოდ. კავშირებმა უნდა ხელმძღვანელობა გაუწიონ კომისიის მუშათა ფრაქციას.

ყრილობამ უნდა აღნიშნოს, რომ სამუშაო ხელფასის დაგვიანებით მიცემა—ხელფასს ამცირებს, ამიტომ დაგვიანებით მიცემას, რომელიც სისტემაში არის შესული-მომავალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სამუშაო ქირის დაცვისათვის საჭიროა აღნიშნული იქნას, რომ სხვა და სხვა პროცენტების „გამოჩოთქვა" სამუშაო ქირიდან არ უნდა იყოს ზომაზე მეტი.

კავშირების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საკითხში, ყრილობამ უნდა აღნიშნოს რომ კავშირებმა არ უნდა მიითვისონ განათლების კომისარიატის ფუნქციები და ისინი არ უნდა ეწეოდენ პარალელურ მუშაობას. კავშირები მონაწილეობას უნდა იღებდენ სახელმწიფო ორგანოების მიერ განათლების საკითხის დაყენებაში და გადაჭრაში. ხოლო თვით კი უნდა ატარებდენ წევრთა შორის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, როგორც, მაგალითად, ბეჭვდითი და ზეპირი ახსნა-განმარტება პროფკავშირების ამოცანების, მათი საბოლოო მიზნების, მომზადება პროფ-მუშაკების, სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობა, წევრების კულტურული და ესთეტიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება (კლუბების მოწყობით და სხვა).

საორგანიზაციო საკითხში უნდა აღნიშნული იქნეს, რომ თუმცა კავშირი და ურთი-ერთი ინფორმაცია კავშირების შორის—გაძლიერდა, მაგრამ მაინც საჭიროა მათი კიდევ უფრო გაძლიერება. აგრეთვე აქამდე არსებული წესი საწევრო გადასახადის შეტანისა წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციის საშუალებით უნდა შეიცვალოს. საწევრო გადასახადი კავშირში უნდა შექონდეს თითოეულ წევრს, ინდივიდუალურად, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების საშუალებით კავშირში სხვა და სხვა შესატან პროცენტ. რაოდენობა (საწევრო, გაფიცვის ფონდი, საურთიერთო დახმარების კასაში) არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო ქირის 4 პროცენტს. კავშირების ორგანოები თავის არსებობისათვის მხოლოდ უნდა ეყრდნობოდენ საწევრო გადასახადს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული სახსარის გამოძებნა რაიმე წარმოების ან ვაჭრობის მოწყობით.

უნდა გაძლიერებული იქნას მუშაობა ურთიერთ დამხმარე კასების მოწყობის მხრივ, ხოლო კასები არ უნდა გადაიქცენ იძულებით ორგანიზაციათ, სადაც სავალდებულო იქნება ყველა კავშირის წევრის შესვლა, არამედ ის უნდა იყოს თავისუფალი ორგანიზაცია. უნდა ეწერებოდენ მხოლოდ ისინი, ვისაც სურთ და არავითარი იძულება, რა ფორმაშიაც არ უნდა იქნეს ის გატარებული—არ უნდა იქნას დაშვებული. დამხმარე კასების წევრებათ მიღებულ უნდა იქნენ არა კავშირის წევრებიც.

ყრილობამ უნდა აღნიშნოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კავშირის მუშაობას კერძო წარმოება-დაწესებულებების მომუშავეთა შორის. მათ შორის უნდა გაძლიერებული იქნას კავშირის მუშაობა.

ყრილობის დღიურ წასრიგში დასმულია აგრეთვე შრომის კომისარიატის მოქმედების მოხსენება. შრომის კომისარიატის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირებისათვის, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მთელი რიგი ფუნქციებისა კავშირებიდან გადავიდა კომისარიატის ხელში. ამ ჟამად შრომის კომისარიატის უმთავრეს ფუნქციებს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოწესრიგება, სოციალური დაზღვევა, შრომის დაცვა, კონფლიქტები და სხვა. ამ საკითხების სწორად გადაჭრისა და ცხოვრებაში გატარებისათვის კავშირებმა უნდა გააძლიერონ კომისარიატის ორგანოები პროფესიონალური მუშაკებით.

ამ რიგად საქართველოს პროფკავშირების მესამე ყრილობის წინაშე დგას მთელი რიგი პრაქტიკულ ამოცანებისა. მათი სწორად გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მონაწილეობას მიიღებენ ყრილობის მუშაობაში ადგილებიდან ჩამოსული მომუშავეები, რომლებიც პრაქტიკული მუშაობით გაცნობილი არიან ყველა ამ საკითხებს და იციან მათი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. რამდენადაც ნაყოფიერი იქნება ყრილობის მუშაობა, იმდენად მომავალში პროფკავშირების ორგანოების მუშაობა სასურველ მიმართულებას მიიღებს.

ს. გოდაბრელიძე.

რადიო-დეპეშები

რუსეთი და ინგლისი

მშვიდობიანობისაკენ.

ლონდონი. 8 ივნისი. რუსეთის საკითხის გარშემო ცოტაოდენი სიმშვიდე ჩამოვარდა. გაზ. „მანჩესტერ გარდიანი" აღნიშნავს, რომ კერზონის ნოტის არაჩვეულებრივმა ტონმა ძალიან შეაშფოთა მოსკოვის მთავრობა, რადგან გაზეთის აზრით, ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეწყვეტა არ შეადგენს კერზონის პირდაპირ მიზანს. გაზეთი იმედოვნებს, რომ რუსეთი თავის ძველი ტაქტიკის მიხედვით, უპასუხებს ზომიერი ტონით, რაც ხელს შეუწყობდა კერზონის იზოლიაციას.

რუსეთი უნდა იყოს სადარაჯოზე.

ინგლისის მუშათა პარტიის წინამძღოლი მაკდონალდი, გაზეთ „ნიუ-დეიში" კატეგორიულათ ამტკიცებს, რომ კერზონი ჯერ კიდევ იმედოვნებს გაამწვავოს კონფლიქტი. ამიტომ რუსეთი და საერთაშორისო მუშები უნდა იყონ სადარაჯოზე საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაკდონალდი აღნიშნავს, რომ მუშები და ინგლისის მთავრობა არ დაუთმობდენ, რათა ჩარჩების და კაპიტალისტების ინტერესები საფრთხეს უმზადებდეს მშვიდობიანობას და იძლევა გაფრთხილებას, რომ **მომავალი კვირა იქნება კრიტიკული და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა ფხიზლათ უნდა იყოს მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში.**

გერმანიის ახალი ნოტა

„როტე ფანე"-ს წერილი.

ბერლინი. 9 ივნისი. **კომუნისტური გაზეთები სასტიკად აკრიტიკებენ გერმანიის მთავრობის მემორანდუმს.** „როტე ფანე" ამტკიცებს, რომ გერმანიის მთავრობის დაპირება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონებიდან რკინის გზების გამოყოფის შესახებ დიდ საფრთხეში აგდებს ამ რკინის გზების მომავალს, რადგან ეს საშუალებას მისცემს მსხვილ კაპიტალისტებს შეიძინოს რკინის გზის ობლიგაციები და ამ რიგად ხელში ჩაიგდონ მთელი რკინის გზები. **გერმანიის მთავრობის წინადადება საბაჟო გადასახადების და პირველ საჭიროების საგნებზე აქციზის დაგირავების სისტემის შემოღების შესახებ ნიშნავს გერმანიის ხალხის გადაცემას უცხოელებისათვის საექსპლოატაციოდ.** „როტე ფანე" **სასტიკად აკრიტიკებს მთავრობას, რომელმაც ერთხელ არ მოიხსენია პასიური წინააღმდეგობა რურში და არ მოითხოვა რურის ევაკუაცია.** „ეს,—სწერს „როტე ფანე",—ნიშნავს სრულ კაპიტულიაციას მოკავშირეების წინაშე და გერმანიის დაქსაქსვას. **გერმანიის ბურჟუაზია შეეცადა პროვოკაციული ხრიკებით გამოეწვია მუშების აჯანყება რურის ოლქში,** რომ შემდეგ პასუხისმგებლობა კაპიტულიაციისათვის მუშათა კლასისათვის დაეკისრებია. **მაგრამ კომპარტია ფხიზლად იდგა სადარაჯოზე და პროვოკაცია არ მოხერხდა.** გერმანიის ახლანდელი მთავრობა და ბურჟუაზია აგებენ პასუხს პუანკარესა და სტინესის წინაშე კაპიტულიაციისათვის",—ასე ათავებს თავის წერილს „როტე ფანე".

ინგლისის პრესა გერმანიის ახალი წინადადებების შესახებ.

ლონდონი. 9 ივნისი. „დეილი ტელეგრაფი" ფიქრობს, რომ პუანკარემ უკვე აცნობა ლონდონში თავისი თანხმობის შესახებ მოკავშირეებთან ერთად უპასუხოს გერმანიის ნოტაზე. მაგრამ, გაზეთის აზრით, საფრანგეთი დასთანხმდება მოიწვიოს კონფერენცია, რომელზედაც ლაპარაკობს გერმანიის ნოტა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გერმანია შესწყვეტს პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკას რურში.

გაზეთის აზრით ანტანტის არც ერთ სახელმწიფოს საბუთი არა აქვს უარი სთქვას გერმანიის ნოტის განხილვაზე, რადგან გერმანიის ახალი წინადადებების ნიადაგზე მოლაპარაკება მოკავშირეებისათვის ხელსაყრელია.

„მანჩესტერ გარდიანი"-ს აზრით ინგლისის მთავრობის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუშალოს საფრანგეთს მოლაპარაკების საბოტაჟში, „როგორც სჩანს,—სწერს გაზეთი,—პუანკარემ მიიღო ბელგიის მთავრობისაგან თანხმობა უარი სთქვან გერმანიის წინადადების განხილვაზე თუ გერმანიის მთავრობა არ შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას რურის ოლქში".

გერმანიის პრესის აზრი.

ბერლინი. 9 ივნისი. სტინესის გაზეთი „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" კომენტარიებს უკეთებს გერმანიის ახალ წინადადებებს და მოითხოვს პასიურ წინააღმდეგობის მტკიცეთ გაგრძელებას იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთი უარს იტყვის მოლაპარაკების დაწყებაზე. დემოკრატიული გაზეთების აზრით მემორანდუმში აღნიშნული ეკონომიური გარანტიები კვლავ ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ გერმანიას სურს პირნათლად შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებანი. გაზეთები უარს ამბობენ გერმანიის პრესტიჟის საკითხის დაყენებაზე ამ ჟამად. გაზეთი რჩევას იძლევა მოუცადონ გაგზავნილ მემორანდუმის შედეგებს და მოუწოდებს მთავრობას ზომები მიიღოს ეკონომიური კრიზისისა და აუცილებელ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. „ლოკალ ანცეიგერი" კმაყოფილებას გამოსთქვამს მემორანდუმით და ხაზს უსვამს მის წყნარ თავდაჭერილ ტონს, მიუხედავად იმ შეურაცხმყოფელი პასუხისა, რომელიც გერმანიის მთავრობამ მიიღო თავისი 2 მაისის ნოტაზე. გაზეთი ხაზს უსვამს აგრეთვე იმასაც, რომ არც ერთი ძირითადი დებულებათაგანი გერმანიის მთავრობის ახალი მემორანდუმით უკან წაღებული არ არის. გაზეთის აზრით პასიური წინააღმდეგობის საკითხი ვერ იქნება გადაწყვეტილი გერმანიის მთავრობის მიერ, ის უნდა გადაწყვიტოს ოკუპაცია ქმნილ რურის ოლქის მცხოვრებლებმა, თავისი საკუთარი ინიციატივით. დემოკრატიული „ბერლინერ ტაგებლატი" აღნიშნავს, რომ ის მძიმე უღელი, რომელსაც გერმანიის მთავრობა ღებულობს თავის თავზე, ბევრით აღემატება იმ პირობებს, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებაშია აღნიშნული. ახალი წინადადებების შესრულებით გერმანიის საკონტრიბუციო ვალი გადახდილი იქნება სრულებით, თუმცა დიდის შრომით.

საკონტრიბუციო საკითხი

გერმანიის ნოტას გარშემო.

საფრანგეთი უკმაყოფილოა.

პარიზი. 8 ივნისი. **მთელი ბურჟუაზიული პრესა გერმანიის ნოტას მიუღებლად სთვლის.** მემარცხენე ელემენტები მაინც მოითხოვენ ნოტის განხილვას და აღნიშნავენ, რომ შეურიგებელ პოზიციაზე დარჩენა შეუძლებელიაო. ოფიციალური წრეები და ნაციონალური ბლოკი მომხრე არიან, რომ ნოტა უარყოფილ იქნეს, რადგან მასში არაფერია ნათქვამი პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტაზე და არ არის განსაზღვრული აგრეთვე გადასახადების რაოდენობა.

ბელგიის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიის ნოტა წინსვლას მოასწავებს გერმანიის მიერ წარმოდგენილ გარანტიების საკითხში.

დამოუკიდებლათ სურთ იყაჩაღონ.

პარიზი. 8 ივნისი. საფრანგეთის მთავრობის აზრის გამომხატველი წრეები ფიქრობენ, რომ უსარგებლო იქნება რურის საკითხის გადაწყვეტაში მოკავშირეების მოხმობა, რომელთაც არ შეუძლიანთ მიემხრონ საფრანგეთის პოლიტიკას გერმანიის მიმართ იმ დრომდი, სანამ თვითონ არ გამოიცვლიან პოლიტიკას რურის საკითხში.

გერმანიის პრესა მემორანდუმის შესახებ.

„გერმანიის მემორანდუმი—მშვენიერი ნიადაგია მოლაპარაკებისათვის".

ბერლინი. 8 ივნისი. გერმანიის მთავრობის მემორანდუმი სარეპარაციო საკითხის შესახებ საერთოდ გერმანიის პრესის მიერ კეთილგანწყობილად არის მიღებული. „ფოსიშე ცეიტუნგი" აღნიშნავს, რომ მემორანდუმს შეუძლია მშვენიერ ნიადაგად გახდეს შემდეგი მოლაპარაკებისათვის სარეპარაციო საკითხის შესახებ. „ბერლინერ ტაგებლატი" მხოლოდ ორ გამოსავალს ხედავს რეპარაციასთან დაკავშირებულ გერმანიის ეკონომიკიდან: 1) მუშების ფართო ემიგრაცია და 2) ნაციონალური მეურნეობის სოციალურ კანონმდებლობის მუხრუჭიდან განთავისუფლება. ეს ამტკიცებს, რომ „ბერლინერ ტაგებლატმა" მიიღო ის მოთხოვნილებები, რომელიც მრეწველების მემორანდუმშია აღნიშნული.

„ფორვერტსი" უკამათოდ და გონიერად სთვლის ყველა იმ დებულებებს, რომელნიც მთავრობის მემორანდუმშია აღნიშნული. გაზეთი აფრთხილებს კუნოს კაბინეტს და აღნიშნავს, რომ ეხლა არ შეიძლება პრესტიჟის საკითხის დაყენება; გაზეთი ამით, ალბად, მიუთითებს მთავრობას პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკის შეწყვეტაზე რურის ოლქში. სტინესის ორგანო „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" სცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს მემორანდუმი გერმანიის უკანასკნელი ნოტის დამატება იყოს, და ნოტაში წამოყენებული ყველა მოთხოვნილებები, მაგალითად: რურის ევაკუაცია, რურიდან გადასახლებულ მოსამსახურეების დაბრუნების საკითხი და სხვა ძალაში რჩება, თუმცა ისინი მემორანდუმში ნახსენები არ არიან. გაზეთი ხაზს უსვამს, იმ გარემოებას, რომ გერმანიის მრეწველები მზათ არიან მისცენ დამატებითი გარანტიები, მხოლოდ, განსაზღვრულ რაოდენობის.

მუსოლინის სიტყვა საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

რომი. 6 ივნისი. იტალიის სენატის სხდომაზე, რომელსაც ამ დღეს განსაკუთრებით ბევრი ხალხი დაესწრო, მუსოლინიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც გაგრძელდა 1 საათს და 40 წუთს. თავის სიტყვაში მუსოლინიმ გამოაქვეყნა თავისი აზრი რურის ოკუპაციის და გერმანიის კონტრიბუციის საკითხების შესახებ. მან განაცხადა: „**მე კვლავ ვიმეორებ, რომ გერმანიას შეუძლია კონტრიბუციის გადახდა.** იტალიას აღარ შეუძლია კვლავ კონტრიბუციიდან მისი წილის მსხვერპლად გაღება და არ შეუძლია აგრეთვე ბონარ ლოუს გეგმის მიღება, რომლის ძალითაც იტალიის ხვედრი კონტრიბუცია შემცირებულია ნახევარზე მეტით, ეს მაშინ, როდესაც იტალიის ვალები ინგლისისადმი არ უქმდება".

შემდეგ მუსოლინმა აღნიშნა, რომ მანამდე, სანამ გერმანია დაჟინებით მოითხოვს რურის დაუყოვნებლივ ევაკუაციას, მოლაპარაკება წარმოუდგენელია. მუსოლინი დაჟინებით მოითხოვს, რომ საკონტრიბუციო საკითხი არ იყოს გამოყოფილი მოკავშირეების ვალების და აგრეთვე ავსტრიის უნგრეთის და ბოლგარეთის კონტრიბუციის საერთო საკითხებიდან. მუსოლინის განცხადების მიხედვით, იტალიის მთავრობას არ შეუძლია სხვა გვარად დააყენოს საკონტრიბუციო საკითხის განხილვა გარდა იმისა, რომელიც შეიცავს შემდეგ დებულებებს: 1) „საკონტრიბუციო საკითხი არ არის მხოლოდ საფრანგეთ-ბელგიის პრობლემა, არამედ ის წარმოადგენს საერთო ევროპის საკითხს და 2) კონტრიბუცია უნდა გადაიხადონ ავსტრიამ, ბოლგარეთმა და უნგრეთმაც".

მუსოლინის განცხადებით იტალიის მთავრობამ უნდა მოითხოვოს შემდეგ 4 პირობა: 1) **გერმანიის ვალის საერთო ჯამი განისაზღვრება 40 მილიარდი ოქროს მარკით,** 2) არავითარი ტერიტორიალური ცვლილება, 3) იტალიის მთავრობის დათმობა პროპორციონალურად უნდა უდრიდეს დანარჩენი მთავრობების დათმობებს, 4) საკონტრიბუციო საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული მოკავშირეების ვალების და ამერიკისადმი დავალიანების საკითხთან. დასასრულ მუსოლინმა განაცხადა, რომ ის არ თანაუგრძნობს რურში საფრანგეთის ყოფნას, მაგრამ ფრანგების გერმანიის ტერიტორიაში შეჭრამ მოიტანა სარგებლობა იმდენად, რამდენადაც საკონტრიბუციო საკითხი ისე მწვავედ დასვა, რომ მისი გადაჭრა აუცილებელი გახადა.

საფრანგეთის წრეების აზრი.

პარიზი. 9 ივნისი. **პარიზის პოლიტიკურ წრეებში საკონტრიბუციო კომისიის ექსპერტების საერთაშორისო კომისიით შეცვლა დაუშვებლათ მიაჩნიათ, რადგან საკონტრიბუციო კომისია შედგენილია ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.**

პარიზში აგრეთვე ფიქრობენ, რომ თუ გარანტიები გერმანიის ხელში იქნება, ის ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობას დაკარგავს.

არ აკმაყოფილებთ.

რომი. 9 ივნისი. გავასის სააგენტოს ცნობით **საფრანგეთის ოფიციალური წრეები გერმანიის ახალ წინადადებას არა საკმაოთ და მიუღებლათ სთვლიან** შემდეგი მოტივებით: გერმანიის მოთხოვნილების შესახებ

წერილები კოოპერაციაზე

II.

დღეს ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ კოოპერაციის მნიშვნელობაზე ჩვენი მეურნეობის აღდგენა-განვითარებისა და მისი ახალ საფუძველზე მოწყობის საქმეში. მოუწოდებთ ყველა ჩვენ ორგანიზაციებს მისთვის საჭირო ყურადღებისა და განსაკუთრებით კი დახმარების აღმოჩენისაკენ. მაგრამ თავი და თავი საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები არ დარჩეს მარტოოდენ სიტყვებათ, თავი და თავი საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები მართლაც იქცეს საქმეთ და ჯეროვანათ გატარდეს ცხოვრებაში სწორეთ ამ კოოპერაციის სასარგებლოთ.

ჩვენ ვცნობთ და ვაღიარებთ, რომ კოოპერაციის უდიდესი, პირდაპირ გიგანტიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობის ახალ წესზე მოწყობის საქმეში, ჩვენ ვცნობთ, რომ დღევანდელ პირობებში კოოპერაციის გაძლიერება, მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება, ეს სოციალიზმის გამაგრებაა, სოციალიზმისთვის ფრთების გაშლაა, ვინაიდან „თუ გამოყოფთ ცალკე კონცესიებს, რომელთაც, სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, ჩვენში არ მიუღია ფართო განვითარება, მაშინ კოოპერაცია ჩვენს პირობებში მრავალ შემთხვევებში სრულიათ უდრის სოციალიზმს" („კომუნისტი" 3 ივნისი),—გვეუბნება ჩვენ ამხ. ლენინი.

მაშასადამე მას ყოველგვარ ექვს გარეშეა უნდა ექნეს მიქცეული უდიდესი ყურადღება, უდიდესი ყურადღება არა მარტო სიტყვით, არამედ უმთავრესათ და უპირველესათ ყოვლისა **საქმით.** თუ ჩვენ გვინდა გავამაგროთ და განვავითაროთ სოციალიზმი, ე. ი. ის რისთვისაც ამდენი ხნის განმავლობაში ვიბრძოდით და სისხლს ვღვრიდით ძველი ქვეყნის მოციქულებთან ბრძოლაში, თუ ჩვენ გვინდა მართლაც და სერიოზულათ შევუდგეთ შრომის აღთქმის ქვეყნის სოციალიზმის შენობის საფუძვლიანათ აგებას, უნდა გავამაგროთ და ფართოთ განვითარება მივსცეთ ჩვენს დღევანდელ პირობებში სწორეთ ამ კოოპერაციას, უნდა აღმოვუჩინოთ მას ყოველგვარი და მასთან უდიდესი დახმარება.

მაგრამ რაში უნდა გამოიხატოს უმთავრესათ და უპირველეს ყოვლისა ეს დახმარება? რა გზით შეგვიძლიან ჩვენ დღევანდელ პირობებში გავამაგროთ და განვავითაროთ ის? როგორი უნდა იყოს ჩვენი პრაქტიკული და კონკრეტული საქმიანობა ამ მხრივ?

როგორც ზემოთ ვსთქვი ჩვენ ყველანი ვცნობთ და ვაღიარებთ ყველას ამას სიტყვით. მაგრამ უბედურებაც ჩვენი სწორეთ იმაშია, რომ ამ სიტყვებს ხშირათ მარტო სიტყვებათ ვტოვებთ და საქმეთ მას **სრულებით და სავსებით** არ ვაქცევთ. ხოლო საჭირო და პირდაპირ აუცილებელი კი არის სწორეთ **საქმე და არა მარტო სიტყვა.** მაშასადამე ჩვენი მუშაობა ამ მხრივ უნდა იყოს უეჭველათ და აუცილებლათ **საქმიანი და ნაყოფიერი.**

რა უნდა ვაკეთოთ დღეს ჩვენ პრაქტიკულათ და კონკრეტულათ ამ მხრივ?

„უნდა ჩავაყენოთ კოოპერაცია,—გვასწავლის ამხ. ლენინი,—ისეთ მდგომარეობაში პოლიტიკურათ, რომ მას არა თუ საერთოდ დ ყოველთვის ექნეს განსაზღვრული შეღავათი, არამედ, რომ ეს შეღავათი იქნეს წმინდა ქონებრივი შეღავათი (საბანკო პროცენტების სიდიდე და სხვა). უნდა მიეცეს კოოპერაციას სახელმწიფოს ისეთი საშვალებები, რომლებიც თუმცა ცოტათი, მაგრამ მაინც სჭარბობენ იმ საშვალებებს, რომლებსაც ჩვენ ვაძლევთ კერძო წარმოებას და მძიმე ინდუსტრიას და სხვა („კომუნისტი" 3 ივნისი).

ამ გვარათ, როგორც ამხ. ლენინი გვეუბნება, ეს დახმარება კოოპერაციისადმი უნდა გამოიხატოს მატერიალურ, ნივთიერ საშვალებებში, საჭიროა, „რომ ეს შეღავათი იქნეს **წმინდა ქონებრივი** შეღავათი"-ო. მაშასადამე ჩვენ გვმართებს არა შებორკვა და შეზღუდვა ნივთიერათ კოოპერატივებისა (ვივიწყებთ რა მას, ანდა ვერ შეგვიგნია ჯერ კიდევ რა ის, რომ კოოპერატივები დღევანდელ ჩვენს პირობებში სოციალიზმის ერთგვარი, თავისებური ჩანასახებია), რასაც ტყვილა უბრალოთ და შეუგნებლათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგათ თვლიან ზოგიერთი ჩვენი გულუბრყვილო ამხანაგები (ივიწყებენ რა მას, რომ ჩვენთვის ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის არა მიზანი, არამედ ერთგვარი აუცილებელი ეკონომიური ნაბიჯი, რომლის გადადგმა გვიხდება ჩვენ დღევანდელ კონკრეტულ პირობებში კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე), არამედ რაც შეიძლება მეტი **ნივთიერი დახმარების აღმოჩენა** მათთვის. **თუ მათ არ ექნეთ აღმოჩენილი ასეთი ნივთიერი დახმარება, თუ მათ** არ ექნათ გამაგრებული მთავარი ხერხემალი, მაშინ მათ განვითარება-გაფართოებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება, ეს უკანასკნელი კი თავის რიგზე კიდევ უფრო დაგვაშორებს კომუნიზმს, რომელსაც ეს-ესაა ხელს ვატანთ სწორეთ ამ კოოპერაციის შემწეობით და ვაახლოვებთ მას, და ამგვარათ კიდევ უფრო მეტად გავიძნელებთ ჩვენ ისედაც ძნელ მუშაობას კომუნიზმის კედლების ასაგებათ.

ასე რომ, პირდაპირ მთავარ ამოცანათ უნდა მივიჩნიოთ და დავისახოთ ჩვენ სწორეთ ეს „ქონებრივი შეღავათის",—როგორც ამხ. ლენინი ამბობს,—აღმოჩენა და მინიჭება ჩვენი კოოპერაციისათვის.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს მატერიალური დახმარება, „ქონებრივი შეღავათი", ანუ უკეთ რომ ვთქვათ, რას ნიშნავს დავეხმაროთ ნივთიერათ კოოპერაციას?

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი კოოპერაცია თავისთავად თუმცა კოლექტიური სამეურნეო დაწესებულებაა, მაგრამ შეიძლება ზოგიერთი მათგანი არ იყოს უაღრესათ მასიური, ე. ი. მასში შეიძლება მონაწილეობას არ ღებულობდეს მშრომელ ხალხის ფართო მასები. ხოლო ჩვენთვის კი დასახულ მიზნისათვის დიდათ მნიშვნელოვანი და საყურადღებო სწორეთ ისეთი კოოპერაციაა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მშრომელი ხალხის სწორეთ ეს ფართო და უდიდესი მასები, ვინაიდან სწორეთ ამ უკანასკნელთა აქტიური მონაწილეობა აძლევს კოოპერაციას კომუნიზმის იმ ჩანასახების ხასიათს, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით.

ამიტომ „მას (ე. ი. კოოპერაციას)—ამბობს ამხ. ლენინი,—მხარი უნდა დავუჭიროთ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. არაა საკმარისი, რომ ამ მხარის დაჭერაში ვიგულისხმოთ ჩვენ მხარის დაჭერა ყოველი კოოპერატიული საქმიანობისათვის, ამ მხარის დაჭერაში უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ მხარის დაჭერა ისეთ კოოპერატიულ საქმიანობისათვის, სადაც **ნამდვილათ იღებენ მონაწილეობას მცხოვრებთა ნამდვილი მასები"** („კომუნისტი" 3 ივნისი).

ამგვარათ, როგორც ამხ. ლენინი ამბობს დახმარება და რაც შეიძლება მეტი უნდა აღმოვუჩინოთ ჩვენი ისეთ კოოპერაციას, რომელიც არის მასიური, ვინაიდან ასეთ კოოპერაციაში მონაწილეობის მიღებით „**ყოველ** წვრილ გლეხს შეძლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს სოციალიზმის მშენებლობაში" (ლენინი). მაგრამ ვინაიდან სოციალიზმის ჩანასახი არის სწორეთ **მასიური** კოოპერაცია, ჩვენც მოვალე ვართ ყოველი კოოპერაცია **მასიურ** კოოპერაციათ ვაქციოთ და ამგვარათ გავამრავლოთ სოციალიზმის ეს ჩანასახები ჩვენს პირობებში.

ქ. კომუნაძე.

მიეცეს მას მორატორიუმი 1927 წლამდი, პუანკარემ ადრევე განაცხადა, რომ თუ გერმანიას გადასახდისათვის ვადა მიეცა, შემდეგ უფრო ძნელი იქნება მისგან კონტრიბუციის მიღება; საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრის ის ფორმა, რომელიც წამოაყენა გერმანიამ, საშუალებას ართმევს მოკავშირეებს საკონტრიბუციო გადასახადების დასაფარავად გამოიყენონ გერმანიის მთელი ქონება, არამედ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, ამას გარდა მემორანდუმში არაფერია ნათქვამი პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ.

ბელგიისათვის მიუღებელია.

ბერლინი. 7 ივნისი. გაზ. „ევრ“-ის ცნობით, **ბელგიის მთავრობის წრეებში ამბობენ, რომ გერმანიის ახალი მემორანდუმი მიუღებელია, რადგან არ სწყვეტს საკონტრიბუციო საკითხებს.**

გერმანიის ვალი.

ბერლინი. 7 ივნისი. პარლამენტის ფინანსიურ კომისიის სხდომაზე რეიხსბანკის დირექტორმა გავენშტეინმა განაცხადა, რომ **გერმანიის ვალი გარდა საკონტრიბუციო გადასახადებისა უდრის 750 მილიონ ოქროს მარკას.**

გავენშტეინმა განაცხადა, რომ მარკის კურსის სიმტკიცისათვის ხელის შეწყობა დიდი ხნით შეუძლებელია. შეუძლებელია აგრეთვე მწარმოებლების ხელში მყოფ ვალიუტის ტრიალის კონტროლი, როგორც ამას კომუნისტები მოითხოვენო.

რურის ოლქის ოკუპაცია

ხმები გენ. პეტენის დანიშვნის შესახებ.

ბერლინი. 9 ივნისი რურის მცხოვრებლები ძლიერ აღელვებული არიან ხმებით გენ. პეტენის რურში საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების სარდლად დანიშვნის შესახებ. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ **გენერალმა პეტენმა სახელი გაითქვა ომის დროს ფრანგ ჯარისკაცების დახვრეტით, რომლებიც ბრძოლაზე უარს ამბობდენ.** ფრანგი ჯარისკაცები პეტენს „სისხლის მსმელს“ უწოდებენ.

რურის რკინის გზებზე

ბერლინი 9 ივნისი. რურის ოლქიდან მიღებული ცნობებით, ფრანგების მიერ ახალი რკინის გზების დაკავების გამო, **რკინის გზებზე სრული არევ-დარევა სუფევს.** სადგურები სავსეა მგზავრებით, მაგრამ არ არის მატარებლები.

როიალისტების შეთქმულების გარშემო

როიალისტების გამოსვლის გარშემო

პუანკარე გაურბის პასუხს.

ვენა. 4 ივნისი. დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა საკითხი ქუჩებში ერრიოს და სხვა დეპუტატების სიტყვების გამოკვრის შესახებ. ამ ფურცლებში კიცხავდენ როიალისტების გამოსვლას. პალატამ ხმების უმრავლესობით მოიწონა ამ სიტყვების ქუჩებში გამოკვრა. პალატამ მოსთხოვა პუანკარეს მოეცა პასუხი როიალისტების შეთქმულების შესახებ, მაგრამ პუანკარემ დასტოვა სხდომა როგორც კი კენჭის ყრის შედეგები გამოირკვა.

გაკვეთილია პუანკარესათვის.

პარიზი. 7 ივნისი. საფრანგეთის მემარცხენე წრეების აზრით დეპუტატთა პალატის რესპუბლიკანური უმრავლესობის გალაშქრება როიალისტების წინააღმდეგ კარგი გაკვეთილია პუანკარესათვის.

ლოზანას კონფერენცია

კიდევ დაბრკოლება

ანგორა. 7 ივნისი. გაზ. „ტეფნიდე ეფქირის“ ლოზანას კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება: **არ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერაში: მოკავშირეები ხშირ-ხშირად სცვლიან თავიანთ გადაწყვეტილებას.** საზავო ხელშეკრულება არ ემგვანება იმას, რის მიღებასაც ჩვენ ვიმედოვნებდით. სმირნის გამარჯვების დღეები დავიწყებულია. ყოველი დღე გვაშორებს ჩვენ ზეიმსო“.

პოლონეთის ახალი მთავრობა

პილსუდსკის გადადგომის გარშემო.

ვარშავა. 9 ივნისი. პილსუდსკის გადადგომის გარშემო სწარმოებს გაცხარებული პოლიტიკური ბრძოლა. მემარცხენეებმა შეიტანეს სეიმის სამხედრო კომისიაში შეკითხვა სადისციპლინო სასჯელის გამო, რომელიც მუშათა გაზეთ „პოლსკა სბრიონას“ რედაქტორს ლეგიონერთა კავშირი იწვევს ვარშავაში მიტინგს, პილსუდსკის გადადგომის გამო, ზამოისკი ბრალს სდებს გაზ. „ვარშავსკაიაში“ პილსუდსკის და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ წასვლას.

პილსუდსკის მემკვიდრე.

ვარშავა. „ ივნისი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს გენერალურ შტაბის უფროსის თანამდებობაზე ცნობილი მემარჯვენე სტანისლავი მალერი.

გარეშე საქმეთა მინისტრის სეიდის გამოსვლა.

ვარშავა. 9 ივნისი. გარეშე საქმეთა მინისტრმა სეიდმა პირველ თავის გამოსვლის დროს სენატის კომისიაში აღნიშნა, რომ პოლონეთ-რუმინეთის კავშირი საჭიროა შეივსოს სამხრეთ-სლავიის და ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობით, პოლონეთს არ აქვს განზრახვა ჩაერიოს რუსეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ მიიღებს ზომებს რათა ბოლშევიზმი არ გავრცელდეს პოლონეთში, პოლონეთის მთავრობას აქვს აბსოლიუტურად მნიშვნელოვანი ზრახვები თავის აღმოსავლეთ მეზობლებისადმი და მას შეუძლია ამიტომ მოითხოვოს რიგის ხელშეკრულების შესრულება. „თუ საბჭოთა მთავრობას, სთქვა შემდეგ სეიდმა, სურს ნორმალური ურთიერთობა დაიჭიროს პოლონეთთან, მან კონკრეტიულად უნდა დაამტკიცოს ეს.

სეიდი გულისხმობს ზელინსკის განთავისუფლებას, პეტროგრადის კოსტელების გახსნას და რეპარაციის დაპირებას და სხვა.

სეიდის გამოსვლას კომენტარიებს უკეთებენ გაზეთები მემარჯვენე პრესა აღნიშნავს, რომ სეიდმა პირველად გაუსვა ხაზი, რომ დამოუკიდებელ პოლონეთს საფუძვლად დაედო გერმანიის დამარცხება. მემარცხენე პრესა სთვლის სეიდის დეკლარაციას სახალხო დემოკრატების საგარეო პოლიტიკის გამომხატველად. „რაბოტნიკი“ უწოდებს სეიდს რუსოფილს და აღნიშნავს, რომ პოლონეთი დაინტერესებულია გამოიყენოს ბალტიის სახელმწიფოები რუსეთის იმპერიალიზმისაგან თავდაცვის საწარმოებლად.

ამსტერდამის ინტერნაციონალში

ერთიანი ფრონტის შესახებ.

ბერლინი. 5 ივნისი. პროფკავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალის სხდომაზე ირჩეოდა ტრანსპორტის მუშების ბერლინის ყრილობის მიერ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ გამოტანილი დადგენილების საკითხი. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ **როგორც ბერლინის კონფერენცია, ისე მის მიერ მანიფესტის გამოქვეყნება მოხდა პროფკავშირების ამსტერდამის გაერთიანების ბიუროს გაუფრთხილებლად და ამიტომ ის პასუხს არ აგებს მათ გამო.** რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ამსტერდამის ბიუროსათვის არ არის სავალდებულო არც ერთი დადგენილება, რომელიც მის საერთო პოლიტიკურ ხაზს არ ეთანხმება. რეზოლიუციაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი მზად არის გამართოს მოლაპარაკება რუსეთის პროფკავშირებთან თუ კი ისინი აღიარებენ ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესების მიერ გამოტანილ რეზოლიუციებს. დასასრულ რეზოლიუცია აცხადებს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს სწამს მუშათა მოძრაობის გაერთიანების და მისი შეთანხმებული გამოსვლის შესაძლებლობა კაპიტალის უღლისგან გასანთავისუფლებლად.

ფაშიზმის წინააღმდეგ

რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის მოწოდება რურში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

მოსკოვი. 9 ივნისი. რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა მთელი მსოფლიოს მუშებს მოწოდებით იმ დაუჯერებელ სიმკაცრის და ტერორისტულ გამოსვლების გამო, რომელიც მიმართულია რურის პროლეტარიატის წინააღმდეგ. **ამას წინად მომხდარ მასიურ გაფიცვით რურის პროლეტარიატმა დაამტკიცა, რომ მისი საბრძოლველი ძალა არ დასუსტებულა და ის ხელახლა გამოდის საბრძოლველად თავის განთავისუფლებისათვის. ამით აღშფოთებული ფაშისტური ბანდები, გაფიცვების შეწყვეტის შემდეგ, საფრანგეთის იმპერიალიზმთან ხელიხელ ჩაკიდებული აწარმოებენ გამანადგურებელ ბრძოლას რურის მშრომელთა წინააღმდეგ.** გაერთიანებულ ფაშიზმს სურს გადააქციოს რურის ოლქი ტერორის დიდ ასპარეზათ და ფაშისტურ დიქტატურის კერად მთელ გერმანიის პროლეტარიატზე.

მიმართვა მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მუშებს ფართოთ მოაწყონ ტერორისაგან მსხვერპლთა დახმარება. შეკრებილი საშუალებანი უნდა გადაეგზავნოს რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს.

რუსეთი და შვეიცარია

შვეიცარიის პასუხი

ხელს იბანენ.

მოსკოვი. 9 ივნისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა შვეიცარიის ნოტა ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ. ნოტა ჩიჩერინის ბრალდებებს სახიფათოს და შეურაცმყოფელს უწოდებს და ამტკიცებს, რომ ვოროვსკი არ შეიძლება ჩაითვალოს ლოზანას კონფერენციის მონაწილეთ. ნოტა ამტკიცებს აგრეთვე, რომ შვეიცარიის მთავრობამ არაფერი არ იცოდა თავდასხმისათვის მზადების შესახებ, კონრადი არ ეკუთვნოდა შვეიცარიის პოლიტიკურ წრეებს და ვოროვსკის მოკვლით შური იძია რუსეთში მისი ოჯახის წევრების წვალების გამო, დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ შვეიცარიის ფედერალური საბჭო, რომელსაც სრული უფლება აქვს თვით მოსთხოვოს საბჭოთა მთავრობას დაკმაყოფილება შვეიცარიის მრავალრიცხოვან მოქალაქეთა შევიწროვების და დევნის გამო, ვერავის ვერ მისცემს ვერავითარ დაკმაყოფილებას.

საბჭოთა რუსეთის პასუხი შვეიცარიის მთავრობის ნოტაზე

რუსეთის გაფრთხილება,

მოსკოვი. 9 ივნისი. გუშინ ამხ. ჩიჩერინმა გაგზავნა პასუხი შვეიცარიის მთავრობის ნოტაზე ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ. პასუხში ნათქვამია, რომ შვეიცარიის მთავრობის ნოტამ, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებლად, აღშფოთება გამოიწვია რუსეთის ფართე მასებში. შვეიცარიის მთავრობა არა თუ უარს ამბობს მისცეს დაკმაყოფილება შეურაცხყოფილ რუსეთის ხალხს, არამედ თავის მხრივ შეურაცყოფას აყენებს რუსეთის მთავრობას. შვეიცარიის მთავრობა ამ რიგად არ კმაყოფილდება მარტო თავისი გულგრილათ მოპყრობით იმ ბოროტმოქმედებისადმი, რომელიც ჩაიდინეს რუსეთის, უკრაინის და საქართველოს წარმომადგენლის მიმართ. მისი დღევანდელი პოზიცია, რომელიც ნათლათ გამოიხატა მის პასუხში, არის მორალური თანაგრძნობა მკვლელობისადმი. რუსეთის მთავრობა სერიოზულად აფრთხილებს შვეიცარიის მთავრობას რუსეთის, უკრაინის და საქართველოს ერების და მთავრობებისადმი ასეთი მოპყრობის შედეგებისაგან და იტოვებს სრული დაკმაყოფილების მიღების უფლებას.

რუსეთი და საფრანგეთი

რუსეთის წითელ ჯვრის დელეგაციის როლი საფრანგეთში.

პარიზი. 8 ივნისი. რუსეთის წითელი ჯვრის დელეგაციის პარიზში ჩასვლის გამო საფრანგეთის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს დელეგაცია პირველი ოფიციალური ორგანოა რუსეთისა საფრანგეთში. „ეკო დე პარი“-ს ცნობით, დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ამ დელეგაციის მუშაობამ შეიძლება გააუმჯობესოს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაო.

რუსეთი და დანია

რუსეთ-დანიის ხელშეკრულება — საბჭოთა მთავრობის უდიდესი გამარჯვებაა.

კოპენჰაგენი. 9 ივნისი. შვეციის გაზეთი „პოლიტიკენ“ სწერს: „**რუსეთსა და დანიას შორის ხელშეკრულების დადება საბჭოთა მთავრობის უდიდესი დიპლომატიური და პოლიტიკური გამარჯვებაა. ამ ხელშეკრულებით სასტიკად დამარცხდენ რუსი თეთრგვარდიელები დანიაში და მათი ხელის შემწყობი სკავენიუსი**“.

რუსეთის პლაკატების და სურათების გამოფენა.

კოპენჰაგენი. 6 ივნისი. დანიის მწერალმა ანკე კირკებნიმ, რომელმაც დანიის გაზეთებში მოათავსა წერილების მთელი რიგი, სადაც თანაგრძნობით იხსენიებდა რუსეთს, გაზ. „პოლიტიკენის“ რედაქციაში მოაწყო რუსეთის სურათების და პლაკატების გამოფენა.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულება საბოლოოდ დამტკიცდა.

კოპენჰაგენი. 8 ივნისი. **ფოლკეტინგმა დღეს დაამტკიცა რუსეთ-დანიის ხელშეკრულება 105 ხმით წინააღმდეგ 21-ისა** და გადასცა საკითხი ლანდსტაგში (რიკსდაგის პირველ პალატაში) ლანდსტინგმა დღეს დაამტკიცა ხელშეკრულება 53 ხმით კონსერვატორთა 10 ხმის წინააღმდეგ. ამ გვარად ხელშეკრულება საბოლოოდ დამტკიცებულია რიკსდაგის მიერ.

კლანის გამგზავრება მოსკოვში.

კოპენჰაგენი. 9 ივნისი. დანიის დელეგაციის მეთაური კლანი მიემგზავრება მოსკოვში რატიფიკაცია ქმნილი ხელშეკრულების გადასაცემად.

რუსეთი და სპარსეთი

რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთის შაჰთან.

თეირანი. 8 ივნისი. 2 ივნისს რუსეთის სოც. საბჭ. ფედერატიულ რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სადარბაზოდ მიიღო სპარსეთის შაჰმა და ხანგრძლივი მეგობრული საუბარი ჰქონდა.

რუსეთ-სპარსეთის კონფერენცია.

თეირანი. 8 ივნისი. გუშინ გაიხსნა რუსეთ-სპარსეთის კონფერენცია საბაჟო ხელშეკრულობის დასადებად.

რუსეთის მისია მუშაობს.

პარიზი. 9 ივნისი. რუსეთის წითელი ჯვრის დელეგაცია მარსელში ჩავიდა. პირველი ტრანსპორტი სამხედრო ტყვეებისა, რიცხვით 6,000 კაცი, გამოიგზავნება დაახლოვებით ივნისის 20-ში.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთი.

ერრიოს წერილი

რომი. 7 ივნისი. ერთ-ერთ ჟურნალში მოთავსებულია ერრიოს წერილი რუსეთის თეთრ-გვარდიელების გეგმების შესახებ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ერრიო აღნიშნავს, რომ **ემიგრანტებში აზრთა სხვადასხვაობა სუფევს თვით ერთსა და იმავე პარტიის წევრებს შორის. ერრიოს ცნობით, კაზაკები ჩამოშორდენ ვრანგელს და ის უკვე აღარ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს საბჭოთა რუსეთისათვის.**

ბულგარეთი.

ბულგარეთის კომპარტიის ყრილობა გადაიდო.

ვენა. 7 ივნისი. ვინაიდან 10 ივნისისათვის მოწვეულია კომინტერნის გაფართოებული პლენუმი, **ბულგარეთის კომპარტიის ყრილობა გადაიდო 15 ივნისათვის. ყრილობა უნდა გადაიქცეს დიდ დემონსტრაციად რუსებზე თავდასხმისათვის მზადების და აგრეთვე ბალკანეთის სახელმწიფოების იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ თავის ავანტიურაში ჩათრევის წინააღმდეგ.** ბულგარეთის კომპარტია სთხოვს ბალკანეთის სხვა სახელმწიფოების კომპარტიებს გამოგზავნონ დელეგატები ამ ყრილობაზე.

პოლონეთი.

ავიწროებენ უკრაინელებს.

ვარშავა. 7 ივნისი. აღმოსავლეთ გალიციაში **გრძელდება უკრაინელების მასიური ჭერა.** ტარნოპოლის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა უკრაინელ სტიჩკას, რომელსაც სახელმწიფოს ღალატს აბრალებენ.

დასაჯეს

ვარშავა. 7 ივნისი. სამხედრო გაზეთის „სბრონია პოლსკას“ რედაქტორი დაატუსაღეს პილსუდსკის წასვლის გამო მოთავსებული წერილისათვის.

მიწაზე გადასახადის გადიდება.

ვარშავა. 7 ივნისი. სეიმმა მიიღო **კანონ-პროექტი მიწაზე გადასახადის 100 ჯერ გადიდების შესახებ.**

ჩეხია.

რუსეთი-სოციალისტურ იდეების წყაროა.

პრაგა. 7 ივნისი. ჰამბურგიდან დაბრუნებულმა, ლონდონის ინტერნაციონალში მიღებულ ჩეხიის გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიის დელეგატებმა, კრებაზე განაცხადეს, რომ რუსეთი რჩება სოციალისტურ იდეების წყაროდ, და ახლო მომავალში დაიწყება მოლაპარაკება ლონდონის ინტერნაციონალსა და კომინტერნს შორის. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ჩეხიის მთავრობისაგან საბჭოთა რუსეთის დაუყოვნებლივ ცნობას და ხელის შეწყობას იმისათვის, რომ ერთა ლიგამაც იცნოს ის.

ავსტრია.

მთლიანი ფრონტისათვის.

ვენა. 6 ივნისი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმმა უარყო ავსტრიის კომპარტიისა და რევოლიუციონურ პროფორგანიზაციების წინადადება მთლიანი კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელმაც სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ უნდა იმოქმედოს. მეორეს მხრივ, მთლიანი ფრონტის იდეა მეტ მიმდევრებს პოულობს პროვინციაში, სადაც კომუნისტები და სოციალ დემოკრატები ერთად გამოდიან არჩევნებში ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ.

ანტი-საბჭოთა კამპანია—ულირსი თამაშია.

პრაგა. 6 ივნისი. ჩეხიის სოციალ-დემოკრატების და ნაციონალისტების ცენტრალურმა ორგანოებმა **მთელი რიგი წერილებით გაილაშქრეს კრამარჟის მოთხოვნილების წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ.** გაზეთი „პრავო ლიდუ“ სწერს: „კრამარჟს, რომელიც მაღლა აყენებს ფაშისტურ რეაქციის სიმხეცეებს, არა აქვს უფლება გაკიცხოს საბჭოთა ტერორი. ჩვენ სოლიდარული ვართ, სწერს გაზეთი, ჰამბურგის რეზოლიუციასთან, რომელიც საბჭოთა მთავრობის იურიდიულ ცნობას მოითხოვს“. ეროვნულ-სოციალისტური „ჩეხიის სიტყვა“ ხაზს უსვამს იმას, რომ კრამარჟის ანტი-საბჭოთა კამპანია—ულირსი თამაშია, რომელსაც უარყოფით უცქერიან მრავალი ნაციონალ-დემოკრატებიც კი.

იტალიაც ეხოთირება.

რიგა. 7 ივნისი. რიგაზე გავლის დროს ამადორიომ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ იტალიის დელეგაცია მოსკოვში რჩება, მხოლოდ შეიცვლება დელეგაციის თავმჯდომარე. ამადორიომ უარი განაცხადა მის განმარტებაზე, თუ რისთვის გაიწვიეს წინანდელი თავმჯდომარე.

მუშებს საბუთი ქონდათ.

ბერლინი. 7 ივნისი. იუწყებიან, რომ დრეზდენში უმუშევრებს შორის მღელვარების დროს მუშებმა შეამჩნიეს თუ როგორ შესცვალეს საქსონიის რეიხსვერი ბავარიის და განოვერის რეიხსვერის რაზმებით.

დრეზდენში რეიხსვერის მინისტრის გესლერის ჩამოსვლის დროს ერთ ყაზარმაზე გამოკიდებული იყო გერმანიის საიმპერატორო დროშა.

სოციალისტური გაზეთები ამის გამო სწერენ, რომ მუშებს სრული საბუთი ქონდათ მზად ყოფილიყვნენ ყველაფრისთვისო.

იტალია.

სოლიდარული არიან რუსეთის რევოლიუციასთან.

რომი. 7 ივნისი. **პროვინცია ვენეციის სოციალისტურმა ყრილობამ დადგენილება გამოიტანა სოციალისტებისა და კომუნისტების პარიტეტულ კომიტეტის დაჩქარებით მოწყობის შესახებ,** ორივე პარტიის გაერთიანების მიზნისათვის. პარტიის სინდიკალურმა კომიტეტმა თანხმობა განაცხადა მოსკოვზე შეერთებაზე. ახალგაზრდობა თავის ორგანიზაციას კომინტერნის დირექტივების თანახმად იწერს. ყრილობა სოლიდარობის გრძნობას გამოსთქვამს რუსეთის რევოლიუციასთან.

უნგრეთი.

მუშას ვერ მოიყიდი.

ვენა. 6 ივნისი. ერთი თვის განმავლობაში ლოკაუტის ქვეშ მყოფ ბუდაპეშტის მეპურეებმა უარი სთქვეს 30 პროცენტის მომატებაზე და დაადგინეს განაგრძონ ბრძოლა.

მხოლოდ პირდება.

ვენა. 4 ივნისი. უნგრეთის ფინანსთა მინისტრმა უარყო სოციალ-დემოკრატების წინადადება მუშათა და მოსამსახურეთათვის შრომის ხელფასის ინდექსის დაწესების შესახებ და დაპირდა გამოსცეს დადგენილება სახელმწიფო მოსამსახურეთა მომავალ ჯამაგირების საბაზრო ფასების ყოველთვიურ ზრდასთან შეფარდების შესახებ.

რუმინია.

დანაშაულს ბოლშევიკებს ახვევენ თავზე.

ვენა. 4 ივნისი. ოპოზიციის იერიშების გამო, რუმინიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პასუხი გასცა გლეხების პარტიის შეკითხვას სამხედრო ტერორის შესახებ ბესარაბიაში; მინისტრმა განაცხადა, რომ ტერორი გამოწვეულია ბოლშევიკების მოქმედებით, რომელნიც კონტაქტში მუშაობენ ბესარაბიის ბრბოებთან, რომლებმაც 107 რუმინიის ჟანდარმი მოკლეს და დასჭრეს 187.

ამერიკა.

50 მილიონი—12 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

ნიუ იორკი. 5 ივნისი. ამერიკის მთელ რიგ სარწმუნოებრივ ორგანიზაციებმა, რომელნიც, მათი სიტყვით, 50 მილ. კაცს წარმოადგენენ, თავის მოწოდებაში 12 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ნახშირის მაღაროების მუშების საერთაშორისო კონფერენცია.

ნიუ-იორკი. 5 ივნისი. პიტსბურგში გუშინ დამთავრებულ ნახშირის მაღაროების მუშების საერთაშორისო კონფერენციაზე პროგრესისტი ფოსტერი გაერთიანებისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა ნახშირის მაღაროების მუშებს, მელითონეებს და რკინისგზელებს. კონფერენციამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც ის საბჭოთა რუსეთის ცნობასა და მასთან სავაჭრო დამოკიდებულების დამყარებას მოითხოვს

ყველაზე მსხვილი ობობა მთელს ქვეყნიერებაზე.

ნიუ-იორკი. გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად ავტომობილების მეფე ფორდი ამ ჟამად შეერთებულ შტატებში, და შეიძლება მთელ ქვეყნიერებაზეც, ყველაზე მეტი ფულის თანხის პატრონია: მას 200 მილიონამდე დოლარი აქვს, რაც ამერიკის ყველაზე მსხვილ კაპიტალისტურ ორგანიზაციის—შეერთებულ შტატების კორპორაციის,—კაპიტალს აღემატება; ამ კორპორაციის კაპიტალის წარსული წლის დასასრულს შეადგენდა 126 მილ. დოლარს. ფორდის ქონების საერთო ღირებულება 536 მილიონ დოლარში გამოიხატება. ეს თანხა შემდგარია პირველყოფილ კაპიტალის—28.000 დოლარის ზრდით. თვითეული ავტომობილი ფორდს აძლევს 55 დოლარს წმინდა მოგებას.

გერმანია.

იძიებენ.

ბერლინი. 6 ივნისი. რამდენიმე დახურული სხდომის შემდეგ საპარლამენტო კომისიამ, რომელიც არკვევს მარკის დაცემის მიზეზებს, მოაწყო ღია სხდომა. ყველა აღნიშნავდა, რომ მარკის დაცემა გამოწვეულია ვალიუტაზე „ნორმალური“ მოთხოვნილებით მრეწველების მხრივ. სტატს-სეკრეტარმა ბერგმანმა სთქვა, რომ მარკის დაცემა შედეგია გერმანიის საერთო მდგომარეობისა.

ზოგიერთი ექსპერტები მარკის დაცემის მიზეზათ უცხოეთის ბირჟებს სთვლიან.

ვალიუტის მარაგი გერმანიაში.

ბერლინი. 6 ივნისი. საპარლამენტო კომისიის სხდომაზე გაიმართა კამათი ვალიუტის მარაგის შესახებ ბანკებში და მრეწველთა წრეებში. სახელმწიფო ბანკის დირექტორის გავენშტეინის ცნობით ეს მარაგი არ აღემატებდა 2 მილიარდ მარკას ოქროთი.

სოციალ-დემოკრატები ამტკიცებდენ, რომ ვალიუტის მარაგი თუ მეტი არ არის, სამ მილიარდ ოქროს მარკას მაინც უდრისო.

სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა მოითხოვეს იმ ფირმების სახელწოდების გამოქვეყნება, რომლებიც დაჯარიმებული იქნენ ვალიუტის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო.

შრომის ხელფასის გადიდებას მოითხოვენ.

ბერლინი. 7 ივნისი. ბერლინის ტელეგრაფის მუშების გაფიცვა გრძელდება. ტელეგრაფის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ თუ მუშები, ორშაბათამდი არ შესწყვეტენ გაფიცვას, დათხოვნილი იქნებიან.

პირველ საჭიროების საგნებზე ფასების ზღაპრულად გაზრდის გამო ვერეიფელდის და ფრანკფურტის მუშები აღელვებული არიან. მუშებმა ულტიმატიურად მოითხოვეს შრომის ხელფასის გადიდება.

რაც დრო გადის, მდგომარეობა უფრო უარესდება.

ბერლინი. 7 ივნისი. რეიხსტაგის გუშინდელ სხდომაზე შრომის მინისტრმა ბრაუნმა განაცხადა რომ შრომის ხელფასის გადიდებასა და მარკის კურსის დაცემას შორის ყოველგვარი შეფარდება დაირღვა. ბრაუნი წინააღმდეგია შრომის ხელფასის ავტომატიურად გადიდების, რადგან ამას მარკის კურსის უფრო მეტად დაცემა მოსდევს.

ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანიის მთელი ხალხი მზად უნდა იყოს დიდი გადასახადებისათვის, რომლებიც საჭიროა ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

სახალხო მეურნეობის მინისტრმა ბეკერმა დაიცვა ბურჟუაზიული მთავრობა და განაცხადა, რომ შეუძლებელია კონტროლის შემოღება ფულის ტრიალზე.

სამივე მინისტრი გერმანიაში გამეფებული საშინელი ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის მთავარ მიზეზათ სთვლიან სარეპარაციო გადასახადებს.

წითელი კოოპერაციაში

რუსეთი.

მოსკოვი. 7 ივნისი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა რუსეთ-ავსტრიის სააქციო სავაჭრო საზოგადოება „რატაო“-ს პროექტი; საზოგადოება მიზნად ისახავს ავსტრიის საქონლის შემოტანას რუსეთში და აგრეთვე რუსეთის საქონლის გატანას ავსტრიაში.

პურის სესხის წარმატება.

ოდესა. 7 ივნისი. ცენტრიდან მიღებულ პურის სესხის 100.000 ფუთის ობლიგაციები სავსებით განაღდებულია. არის კიდევ მოთხოვნილება 300.000 ფუთზე.

„ბელორუსიის მუშა“.

მინსკი. 7 ივნისი. ბელორუსიის პროფკავშირთა საბჭომ კამპანია დაიწყო ჰაეროპლან „ბელორუსიის მუშის“ ასაშენებლად.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

მოსკოვი. 10 ივნისი. საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის აღმასკომმა 7 ივლისი დანიშნა კოოპერაციის საერთაშორისო დღეთ, რომელიც ეძღვნება კოოპერატიულ პროპაგანდას. გეგმის მიხედვით, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ყველა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში და ოლქებში არსდება განსაკუთრებული კოოპერატიული კომისიები, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ პარტიულ კომიტეტების და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები. ამ დღეს უნდა მოეწყოს ლექციები, უფასო წარმოდგენები, ექსკურსიები წითელ არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობის და ბავშვების მონაწილეობით. ამავე დღეს მოხდება კოოპერაციის მიერ საბავშვო დაწესებულებების, სახელოსნოების და სასადილოების გახსნა, სკოლების მოწყობა, სასწავლებლებში სტიპენდიების დანიშვნა, ქუჩების და წარმოებების სახელწოდების შეცვლა კოოპერატიულ მოღვაწეების საპატივცემლოდ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოფლებში კოოპერატიული პროპაგანდის გავრცელებას მოხსენებების და ლექციების გზით. განზრახულია ერთდროულ კოოპერატიულ ბაზრობის მოწყობა გლეხებისათვის საჭირო საქონლის გასაყიდათ. კოოპერაციის პირველმა დღემ უნდა ჩააბას ფართო მასები აქტიურ კოოპერატიულ მუშაობაში.

იგნატე ნინოშვილის ძეგლის გახსნა

10 ივნისი ულრუბლო, მზიანი დარია. დღეს დილის 11 საათზე გახსნილ იქნება ძეგლი იმ გმირისა, რომელმაც ზვარაკად მიიტანა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მშრომელი ხალხის სამსხვერპლოზე. 10 საათიდან იწყება ხალხის მოგროვება ალექსანდრეს ბაღში. დროშებით მოდიან სხვა და სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა დელეგაციები. ბაღი ივსება მოქალაქეებით, უმთავრესად მუშა ხალხით, რომელიც განსაკუთრებულ სიხარულს და საზეიმო სულიერ განწყობილებას განიცდის, რადგან ჰგრძნობს, რომ მუშა-მწერლის—ნინოშვილის ძეგლის აღმართვის და გამოფენის დღე არის დღე მისი გამარჯვების, სულიერი სიმტკიცის და გონებრივი ძლევამოსილების დაგვირგვინება.

ზეიმის გახსნა და ამხ. ცხაკაიას სიტყვა.

სრულ თერთმეტს საათზე ამხ. მ. ცხაკაია ზეიმს გახსნილად აცხადებს და მუდამ მოუწყენარ „ინტერნაციონალი“-ს მწყობრ გუგუნ ქვეშ სიტყვას იწყებს ძეგლის პიედესტალზე შემდგარი. ნინოშვილის თანამებრძოლი ამხანაგი მიხა ცხაკაია, რომელიც აღფრთოვანებით მოუთხრობს საზოგადოებას ნინოშვილის დროის შესახებ და თვით ნინოშვილზე, რომელმაც საქართველოში პირველმა დაიწყო ბრძოლა ულმობელ ექსპლოატაციის მოსასპობად და შრომის სუფევის დასამყარებლად და ამ თავგანწირული ბრძოლით საფუძველი ჩაუყარა მშრომელი ხალხის მომავლისათვის მებრძოლს კომ. პარტიას. „იგნატე ნინოშვილი მდგომარეობით პროლეტარი იყო,—ამბობს მცხოვანი ამხანაგი, არის პირველი მარქსისტი-რევოლიუციონერი, ინტერნაციონალური ხასიათის და ისტორიულად მნიშვნელოვანი ცენტრალური წრის პირველი დამაარსებელი და ამავე დროს იგი მადლით მოსილი ფსიქოლოგი-ბელეტრისტია, რომელიც გვისურათებს ღარიბი გლეხკაცის კატორღულ შრომას და ამიტომ „დაუვიწყარი დარჩება ძვირფას იგნატეს სახე მომავალ თაობათა ხსოვნაში“. ქართულად წარმოთქმულ სიტყვის დასასრულს ამხ. მიხა პირბადეს ხსნის ძეგლს. მომღერალი გუნდი მღერის ინტერნაციონალს.

იგნატე ნინოშვილის ძეგლი.

საზოგადოების წინაშე მაღალ კვარცხლბეკზე გამოჩნდება ბიუსტი საყვარელი ნინოშვილის, იაკობ ნიკოლაძის მიერ დიდი ხელოვნებით შესრულებული. ნაწარმოები ტექნიკურათ სავსებით დამთავრებულია: ყოველი ნაკვთი და სახსარი ისეთი სიყვარულით და ზეშთაგონებითაა გამოკვეთილი, რომ ფიგურა ცოცხალი ადამიანის სხეულზე ჩამოსხმულსა ჰგავს. ქანდაკება გადმოგვცემს სხეულის ზედა ნაწილს, რომელიც სუნთქავს ჰერით, რომელიც ნაზად ციმციმებს მზის სხივებზე. აქ სინათლე, სინათლე და ჩრდილი ორგანიულათ შეკავშირებულია სხეულთან, რომელიც ცხოვრობს შინაგანი ცხოვრებით, გამომეტყველება მწერლის მტკიცე, ამაყი და შეურყეველია, თვალები რწმენის ალითაა განათებული,—ეს არის ადამიანი, რომელიც თავის გადაწყვეტილებას არასოდეს არ გადაუხვევს. ამავე დროს მისს მეტყველს სახეს და ხელებს ღრმა განცდის და ტანჯვის კეთილშობილური იერი აზის. ძნელია უფრო უბრალოდ და უფრო ცხოველად კეთილშობილების გამოხატვა, ვიდრე ეს ნინოშვილის ფიგურა ხდება.

ქანდაკებას გარს შემოხვევიან მისი ძველი თანშეზდილ და თანამებრძოლი ამხანაგები, რომელნიც ისე გატაცებულნი და აღფრთოვანებული შესცქერიან ტანჯული მგოსნის სახეს თითქოს დიდი ხნის [illegible] ლაში დაკარგულ ამხანაგს შეხვედრიანო.

რაჟდენ კალაძის, მ. ჩოდრიშვილის, ი. კაკაბაძის და სხვათა სიტყვები და ლექსები.

ამხ. ცხაკაიას რუსულად წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ ლაპარაკობს ნინოშვილის მეგობარი ამხ. რაჟდენ კალაძე, რომელმაც ნინოშვილი დაგვიხატა როგორ თავგანწირული რევოლიუციონერი-ორგანიზატორი, როგორც ხელოვანი,—როგორც რეალისტი მწერალი, რომელმაც ჩვენი მშრომელი გლეხკაცების ცხოვრება ნათელი სახეებით წარმოუდგინა მკითხველს და პირველმა მოგვცა პროლეტარული ინტელიგენტის ტიპი. დასასრულ, შეეხო როგორც პუბლიცისტს, რომელმაც ქართველ მუშა-ხალხს მიუთითა ისტორიულ მისიაზე—კომუნისტურ იდეალზე. მიხ. ჩოდრიშვილი და იოსებ კაკაბაძე ვრცლად ეხებიან მუდამ მათთან მომუშავე იგნატეს პირად ცხოვრებას, ახასიათებენ მას, როგორც კეთილშობილ და მაღალი ღირსებით დაჯილდოვებულ პიროვნებას. ამხ. ჩოდრიშვილის შემდეგ ლექსს ჰკითხულობს პოეტი სანდრო ეული, მაგრამ დღესასწაულს ნამდვილი მუშური ზეიმის ხასიათს აძლევენ გაზეთ „კომუნისტის“ მუშა-პოეტები, რომელნიც ნინოშვილის ნაწერებით აღზრდილნი და ჩაგონებულნი წრფელი გრძნობით და გულ-მხურვალებით ჰკითხულობენ მის სახსოვრად დაწერილს მშვენიერ ლექსებს. მ. ჯაბაური, შინატეხელი, ხეჩუაშვილი და დევაძე. „პოეტების შემდეგ საზოგადოებას—ძეგლის გახსნას ულოცავს გაზ. „მარტაკოჩის“ წარმომადგენელი, რომელიც ნინოშვილის აღიარებს არა მარტო ქართველთ, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხის მასწავლებლად.

მამია ორახელაშვილის სიტყვა.

ზეიმის ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო ამხ. მამიას სიტყვა. ნინოშვილის მნიშვნელობა არა მარტო წარსულ მის მოღვაწეობაში მარხია, მის შემოქმედებას აქვს დიდი თანადროული მნიშვნელობა; ის საიდუმლოება, რომელიც ცხოვრების ხანგრძლივმა დაკვირვებამ ნათელჰყო ჩვენთვის, რომელიც თეორიულად მეცნიერულად დაასაბუთა კომუნისტურ პარტიის ბელადმა დიდმა ლენინმა, ეს საიდუმლოება ისტორიულ პროცესისა, იმთავითვე პოეტური ალღოთი შეცნობილი ჰქონდა ნინოშვილს. ეს საიდუმლოება არის—პროლეტარიატის და ულარიბესი გლეხობის კავშირი. არ შეიძლება პროლეტარიატის ძლევა-მოსილი წინსვლა, თუ იგი ხელიხელ ჩაკიდებული არ მიდის გლეხობასთან ერთად ბრძოლის ეკლიან გზაზე; ვისაც სურს გამარჯვება პროლეტარული დიქტატურის, იგი მქადაგებელი უნდა იყოს პროლეტარიატის გლეხობასთან დაკავშირების, და სწორედ ასეთი აზრების მატარებელი და მქადაგებელია ნინოშვილი თავის მხატვრულ შემოქმედებით, რომლის მთავარი მიზანი არის გლეხობის სიდუხჭირის დახატვა და ამ საშუალებით მისი პროლეტარიატთან დაახლოვება; და მით უმეტეს, სახელის და დიდების ღირსია ნინოშვილი, რომ მან 30 წლით ადრე შეიცნო ეს საიდუმლოება. თავის მშვენიერი სიტყვა ამხ. მამიამ დაამთავრა აღთქმით, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა ხალხში გასავრცელებლად უხვად გამოსცემს ნინოშვილის უკვდავ ნაწერებს. ამხ. მამიას სიტყვის შემდეგ ზეიმს დახურულად აცხადებენ და მადლობის და კმაყოფილების გრძნობით ავსილი საზოგადოება „ინტერნაციონალის“ გუგუნ ქვეშ სახლისკენ მიეშურება.

რუსეთის კომპარტიის მოსკოვის პლენუმი

ამხ. კამენევის მოხსენება რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე.

ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობანი.

რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე 8 ივნისს ამხ. კამენევმა გააკეთა მოხსენება რ. კ. პ. ც. კ. მუშაობის შესახებ უკანასკნელი ყრილობის შემდეგ.

ჩვენი ახალი ნოტა ინგლისისადმი.

ც. კ. ყურადღების ცენტრს იპყრობდენ ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები, განსაკუთრებით კი ჩვენი დამოკიდებულება ინგლისთან.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრის სიმპატიების დასაპყრობათ ჩვენ წავედით ბევრ დათმობებზე.

ლტოლვა ჩვენთან დაახლოვებისაკენ საფრანგეთის, იაპონიის და იტალიის მხრივ.

მეორე საპასუხო ნოტაში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდება ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზად ვართ დავაკმაყოფილოთ კერზონის მოთხოვნილებები და გადავიხადოთ ორი ჯაშუშის ზარალი, მაგრამ მოვითხოვთ კონფერენციის მოწვევას დანარჩენი სადაო საკითხების განსახილველად.

ამხ. კამენევმა აღნიშნა, რომ იტალიაში, საფრანგეთში და იაპონიაში იზრდება ლტოლვა ჩვენთან დაახლოვებისაკენ.

ნაციონალური საკითხი.

დიდი ყურადღება მიაქცია ც. კ. პურის ექსპორტის და აგრეთვე ნაციონალურ საკითხს.

ამ დღეებში გაიხსნება აღმოსავლეთის განაპირა სახელმწიფოების პარტიულ მუშაკების თათბირი, რომლის ამოცანებში შედის რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობის მიერ ნაციონალური საკითხის შესახებ გამოტანილი დადგენილებების პრაქტიკულად განხორციელების საკითხები.

პროფინტერნში

პროფესიონალური მოძრაობა ჰოლანდიის ინდოეთში.

ინდონეზიის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანება დაარსებული იყო 1919 წელს კომუნისტური პარტიის ინიციატივით.

გაერთიანებას დაუყოვნებლივ შეუერთდენ ნავთის სამრეწველოების, რკინის გზების, სტამბების, ნავთსადგურების მუშების და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირები, რომელთა წევრების რიცხვი დაახლოვებით უდრიდა 60,000 კაცს. შაქრის ქარხნების მუშების, სახალხო მასწავლებლების, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების, მელითონეების და შენახველ გამსესხებელი კასების მოსამსახურეების კავშირები დარჩენ გაერთიანების გარეშე და დიდხანს იყვნენ ნაციონალისტების გავლენის ქვეშ. მაგრამ თანდა-

თანობით ეს კავშირებიც გადმოდიან კომუნისტების მხარეზე. მაგალითად 1922 წლის ბოლოს, შაქრის ქარხნების მუშების და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების კავშირთა კონგრესებზე წმინდა ნაციონალისტურის მაგიერ, აირჩიეს ახალი გამგეობა, რომელშიაც უმეტესობას შეადგენენ კომუნისტები. მიმდინარე წლის იანვარში რკინის გზელების კავშირის კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ავალებს თავის ცენტრალურ კომიტეტს იბრძოლოს პარლამენტში სამუშაო ხელფასის შემცირებისა და მასიური დათხოვნის წინაღმდეგ და პარლამენტური ბრძოლის უშედეგოდ დამთავრების შემთხვევაში, გამოაცხადოს გაფიცვა.

მიმდინარე წლის დასაწყისში ადგილი ჰქონდა მეზღვაურებსა და ჯარისკაცებს შორის დიდ მღელვარებას, რაც გამოწვეული იყო მათი ჯამაგირების შემცირებით. ნიშნად პროტესტისა,—ზოგიერთი ადგილობრივი მეზღვაურები სარუზადში წავიდენ სამხედრო გემებიდან. მრავალმა სამხედრო ნაწილებმა უარი სთქვეს სამხედრო დისციპლინისადმი დამორჩილებაზე.

1922 წლის დასასრულ წარმოიშვა მღელვარება ტერნოცის კუნძულზე. დააპატიმრეს კომუნისტური პარტიის ადგილობრივ განყოფილებათა 63 ხელმძღვანელი, რომელთაც ბრალს სდებენ რევოლიუციის მომზადებაში; 3 თვის განმავლობაში კუნძულზე თავი მოუყარეს ჯარების დიდ რაოდენობას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მღელვარება სიძვირის ნიადაგზე.

ბერლინი. 7 ივნისი. ლეიპციგში სოციალ დემოკრატებმა და პროფკავშირებმა მოაწყვეს დემონსტრაცია სიძვირის წინააღმდეგ. მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რომლის დროს დაიჭრა 28 დემონსტრანტი, მოკლულია—6.

„როტე ფანე" მომხდარ ამბებში ბრალს დებს ფაშისტებს, რომელთა გათავხედებას, ბევრათ შეუწყო ხელი თვით სოციალ-დემოკრატების მემარჯვენე ფრთამ, რომელიც წინააღმდეგი იყო პროლეტარული თავდაცვის რაზმების შედგენის.

გაფიცვა ზემო-სილეზიაში.

ბერლინი. 7 ივნისი. გაფიცვა ზემო სილეზიაში ძლიერდება. პროფკავშირების ლიდერებსა და მრეწველებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება მუშებისათვის ავანსების მიცემის შესახებ.

სამხრეთ-სლავია

მუშათა მოძრაობა იღვიძებს.

ვენა. 6 ივნისი. მუშათა მოძრაობა სამხრეთ-სლავიაში, რომელიც მთავრობის ტერორით იყო ჩაქრობილი, ნელ-ნელა იღვიძებს. განსაკუთრებულ მოღვაწეობას იჩენენ პროფკავშირები, რომელნიც მასიურ კრებებსა და დემონსტრაციებს აწყობენ პროლეტარულ ორგანიზაციების თავისუფლების სასარგებლოდ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

მეთამბაქოება,

სოხუმი. 8 ივნ. მეთამბაქოეთა კოოპერატიული კავშირი 4000 დეს. მეტ თამბაქოს პლანტაციებიდან, უმთავრესად ტრაპიზონის ჯიშისას, მოელიან 240,000 ფუთი თამბაქოს მიღებას. მიღებულია ენერგიული ზომები თამბაქოს მრეწველობის აღსადგენათ: 1) ეწყობა აქციონერული საზ-ბა „აფხაზეთის თამბაქო", აქციები განაწილდება დაინტერესებულ სამეურნეო ორგანოებს შორის, 2) განზრახულია არსებული თამბაქოს ქარხნის გაფართოება, 3) მოწვეულია თამბაქოს საქმის სპეციალისტები.

ა ჭ ა რ ა.

კომუნ. მეურნეობის განყ. შუამდგომლობა.

ბათომი. 8 ივნისი. ბათომის კომუნალურმა მეურნეობამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ქალაქის ცენტრში დაუმთავრებელი ქართული ეკლესიის მუნიციპალიზაციის შესახებ.

აზერბეიჯანი

კონტრაბანდის საქმის გარჩევა.

ბაქო. 10 ივნისი. სპარსეთში ოქროს და ვერცხლის გატანის საქმის საგამომძიებლო ნაწილის მუშაობას თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმის მოსმენა გაგრძელდება 1½—2 კვირის განმავლობაში.

7 ივნისს ღამით და 8—ივნის დღით დაჰკითხეს მხოლოდ ორ ბრალდებულს: ესმინცების დივიზიონის უფროსს სარიჩევს და ესმინცის—„ტურკმენეც სტავროპოლსკის" კომანდის—კისელ ზაგორიანსკის. ორთავე ბრალდებული დანაშაულად სცნობენ თავს სპარსეთში ოქროს და ვერცხლის გაზიდვაში, მხოლოდ უარყოფენ საბრალმდებლო დასკვნას გატანილის რაოდენობის შესახებ. როგორც პირველი, ისე მეორე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში ყველა საზღვაო ფრონტებზე. მათი ბოროტმოქმედების მიზეზად ისინი ასახელებენ მათი ოჯახების გაჭირვებულ მდგომარეობას; რომ მათ საშუალება არ ჰქონდათ მათი მცირედი ჯამაგირით დაეკმაყოფილებიათ ოჯახის მინიმალური მოთხოვნილებაც.

მთელი სიმძიმე ბოროტმოქმედებისა მათ არ ჰქონდათ შეგნებული, ვინაიდან წინადაც იყო შემთხვევა, როდესაც კასპიის საზღვაო ფლოტზე ჩამოართვეს სამხედრო-საზღვაო, კომისრებს ტვირთები, რომელიც გაჰქონდათ სპარსეთში, მაგრამ ამას დიდი სასჯელი არ მოჰყოლია. ზემოდ მოყვანილი მიზეზების გამო, ბრალდებულები იძულებული იყვნენ გამოეძებნათ საშუალება მათი ოჯახების მძიმე პირობების შესამსუბუქებლად და დაიწყეს სპარსეთში განძეულობის გაზიდვა, ვინაიდან მათ სხვა შემოსავლის მიღება არ შეეძლოთ. ესმინცის —„ტურკმენეც სტავროპოლსკის" პირველი გაჩხრეკის დროს, ბრალდებულმა ზაგორიანსკიმ, დაინახა რა, რომ იწყება ფართო ბრძოლა კონტრაბანდთან, რასაც წინად, მისი სიტყვით, ადგილი არ ჰქონია, თვითვე წინადადება მისცა კომანდას ჩაებარებინა ყველა განძეულობა, რომელიც ჩხრეკის დროს არ იყო აღმოჩენილი.

მეორე ბრალდებულის ასეთი ჩვენება უსათუოდ დანაშაულის აღიარებაა, მაგრამ ძლიერ დაგვიანებით.

გამოძიებიდან სჩანს, რომ ენზელში სამხედრო—საზღვაო კომისრები ჯილდოს ღებულობდენ სპარსეთის ვაჭრებიდან: თვითეულ ფუთ ვერცხლზე -8 თუმანს, გირვანქა ვერცხლზე—2 კრანს, ვერცხლის მანეთზე — 2 შაის, ოქროს პაკეტზე საშუალოდ 2 თუმანს, ოქროს ათ მანეთიანზე—25 შაის. დამახასიათებელია, რომ ბრალდებულებს შორის ბორის დუბნიცკის 1918 წელს მისჯილი ჰქონდა კრონშტადტის რევტრიბუნალის მიერ 10 წლის იძულებითი სამუშაო, ალექსანდრე დუბნიცკის—პირობით 5 წლის ციხე, ორთავეს ბრალდებოდა კონტრ-რევოლიუცია. დუბნიცკი ერთ დროს ბიჩეროხოვმა დააჯილდოვა ორი ორდენით.

აბრეშუმის მოსავალი.

ბაქო. 10 ივნისი. მეაბრეშუმეობის რაიონებში აბრეშუმის ჭია უკვე იწყებს პარკის კეთებას. მოსავალი ზოგიერთ რაიონებში საშუალო უნდა იქნეს ზოგიერთებშიც საშუალოზე მეტი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 10 ივნისი. ყველა სამრეწველოებიდან 5 ივნისს ამოღებულია 608,000 ფუთი ნავთი; აღებულია გადასაქაჩავად—361,000 ფუთი, მიღებულია გადაქაჩვიდან 257,000 ფუთი. გაწმენდილია 124,000. გაბურღვა სწარმოებდა 169 მანქანით. გაბურღულია 76 საჟენი.

ოქრო-ვერცხლის კონტრაბანდათ გატანის საქმე.

ბაქო. 8 ივნისი. კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონურ ტრიბუნალის სხდომა 6 სა და 7 ივნისს კონტრაბანდით სპარსეთში გატანილ ოქრო-ვერცხლის შესახებ მოანდომეს პასუხისგებაში მიცემულთა წინასწარ დაკითხვას. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პასუხისგებაში მიცემულ სამხედრო-საზღვაო კომისართა კლასიურ შთამომავლობას, მათს მონაწილეობას საბჭოთა ხელისუფლების მტერთა წინააღმდეგ და აგრეთვე მათს წინანდელ სამსახურს. პასუხისგებაში მიცემულია შემდეგი პირები: **სარიჩევი**—ნაღმოსნების ესკადრონის დივიზიონის უფროსი, **ზაგორიანსკი**—**კისელიოვი**—ნაღმოსანთა ესკადრონის „ტურკმენეც სტავროპოლსკის"—უფროსი, **დემჩუკი**—მდივანი ნაღმოსანთა დივიზიის უფროსისა, **ბაკინი**—უფროსი თანაშემწე „ტურკმენ სტავროპოლსკის" ნაღმოსან დივიზიონის უფროსის, **დუბინსკი ბორისი**—უფროსი თანაშემწე საშიკრიკო გემისა „გეოკ-ტეპე", **დუბნიცკი იური**—პირველი სპეციალისტი ნაღმოსან ესკადრონისა „იაკოვ სვერდლოვ", **დუბინსკი ალექსანდრე**—უფროსი მდივანი ნაღმოსანთა „ტარასოვ"-ას დივიზიონის უფროსისა, დივიზიონის ინჟენერი, **ავარიკი**—უფროსი მეხანიკი ნაღმოსან „ტურკმენეც"-ის დივიზიონისა, **ზამერშჩიკოვი**—ნაღმოსან „კარლ ლიბკნეხტ"-ის უფროსი, **პორტნოვი**—უფროსი, **ხარინი**—საშიკრიკო გემის „გეოკ-ტეპე"-ს უფროსი, **კრასნოვი**—შტურმანი გემ „მელიძე მურადოვი"-სა, **ზამოლინი**—ნაღმის მსროლელი ნავის „ტროცკი"-ს უფროსი, **კრივენკო**—შპიკერის თანაშემწე, **ნიკოლაევი**—ნაღმოსან „დეიატელნი"-ს სამხედრო კომისარი, **სოლოვიოვი**—გემის მექანიკი, **მრაუნფელდი**—სამეურნეო ნაწილის გამგე, **სოკოლოვი** ნიკოლოზი—ნაღმოსან „იაკოვ სვერდლოვ"-ის მეხანიკი, **კასიუკოვი**—უფროსი თანაშემწე ნაღმოსან „ალფატერ"-ის უფროსისა, **ვოლოხიუკი**—გემის არტილერისტი, **ნიკიფოროვი**—უფროსი თანაშემწე ნაღმოსან „ლენინის" უფროსისა, **სამოილოვი**—კასპიის ფლოტის რაზმის უფროსი, **ვაგნერი**—სათადარიგო ჯარის უფროსის თანაშემწე, **პანახნია**—უფროსი მესაჩხრეკე, **მახლოვი**—მესაჩხრეკე, **კუსტროვი**—კონონესკის „ტროცკი"-ს უფროსი: სულ 37 კაცი. პასუხისგებაში მიცემულია 8 სპარსელი ვაჭარი. დანარჩენი, ამ საქმეში მონაწილე ვაჭრები სპარსეთში გაიპარნენ. პასუხისგებაში მიცემულთა შორის სამხედრო-საზღვაო უფროსი არის 6 კაცი და 1 კომუნისტური პარტიის კანდიდატი.

აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტის სესია.

ბაქო. 8 ივნისი. ივნისის 10 ს მოწვეულია მორიგი სესია აზერბეიჯანის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმისა. განსახილველია: პრეზიდიუმის მოხსენება, განხილვა და დამტკიცება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან დასადებ ხელშეკრულებათა, განათლების კომისრის მოხსენება, განხილვა და დამტკიცება მიწად-მოქმედების კოდექსისა, განხილვა აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის კანონთა კრებულისა, ნახიჩევნის მხარის შემოერთება აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში.

დაწესებულებათა გაწმენდა.

ბაქო. 8 ივნისი. აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა კომისიამ უნდა გასწმინდოს საბჭოთა დაწესებულებანი შეტმასნებულ მავნე ელემენტებისაგან და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მტრებისაგან, რომელთაც რღვევა და არევ დარევა შეაქვთ საბჭოთა დაწესებულებებში.

140 პროც. წარმოებისა.

ბაქო. 8 ივნისი. ამხ. ლენინის სახელობის საფეიქრო ქარხანამ მაისში დაამზადა 604,653 არშინი ქსოვილი, რომელიც შეადგენს 140,61 პროც. საწარმოვო ვარაუდისას. საშუალოდ ყოველ დღიური დამზადება უდრის 26873 არშინს 22 ნახევ. მუშა ხელით თვეში. ყოველ დღე მუშაობდა 826 დაზგა. ქარხნის მუშათა რიცხვი უდრის 1521 კაცს, მოსამსახურეებისა—133.

სომხეთი

საექიმო დახმარება სოფლის სკოლებში.

ერევანი. 10 ივნისი. სახალხო განათლების განყოფილების გამგეების უკანასკნელ თათბირზე დაადგინეს, რომ ქალაქის ექიმებმა პერიოდულად ჩამოიარონ სოფლის სკოლები მოწაფეების გასასინჯავად და მათთვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. მოწაფეთა შორის განსაკუთრებით გავრცელებულია მალიარია, ბღერი და სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობა.

მუშკოპის წარმატება.

კარაკლისი. 10 ივნისი. კარაკლისის მუშკოპის მოღვაწეობა კარგათაა დაყენებული. მისი ყოველდღიური ბრუნვა 1 მილიარდ მანეთს აღწევს. მუშკოპით სარგებლობს მთელი მოსახლეობა.

ყავის ქარხანა სომხეთში.

ერევანი. 10 ივნისი სომხეთის კოოპერატივთა კავშირის ყავის ქარხანა იჯარით არის გაცემული. სპეციალისტების აზრით სომხეთში ბევრია ნედლი მასალა ყავისა და ციკორის დასამზადებლად, რომელიც აგრეთვე საკმარისი იქნება საზღვარგარეთ გატანისათვისაც.

პარტიული ცხოვრება

ბორჯომის რაიონი

ბორჯომის კომორგანიზაციაში არის 262 წევრი და კანდიდატი. უჯრედები—24, თემკომი—4.

მუშაობა ახალგაზრდებში.

ყველა დაწესებულებებში და საწარმოო დარგებში არიაც ასისტენტები, რომლებიც იცავენ ახალგაზრდობის ინტერესებს. ამას წინათ მოწვეული იქნა ასისტენტების პლენუმი, დაესწრენ პროფორგანიზაციების წარმომადგენლები. პლენუმმა განიხილა რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, აღნიშნა მუშაობის ზოგიერთი დეფექტები, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებენ.

კომკავშირის კომიტეტმა მოაწყო უმუშევარ ახალგაზრდობის არტელი.

სააგიტ პროპაგანდო მუშაობა.

სანგარიშო თვის განმავლობაში ქვე რაიონებში გაიგზავნა პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებმაც გამოარკვიეს ადგილობრივ მუშაობის შედეგები, მისცეს ადგილობრივ მომუშავეებს საჭირო ინსტრუქციები და გააკეთეს მოხსენებები.

რაიონში არის 10 პოლიტიკური წრე. ამ წრეებში არის 190 წევრი. მუშაობა საშუალოდ დამაკმაყოფილებელია. მაგრამ საერთოდ საჭირო ხელმძღვანელების არ ყოლის გამო მუშაობა სათანადოდ ვერ არის დაყენებული.

ცენტრში მოეწყო მარქსისტული წრე, მაგრამ რადგან წრის ყველა წევრები, პასუხისმგებელი ამხანაგები საქმეების გამო სხვა და სხვა ადგილებში გაიგზავნენ, მუშაობის დაწყება არ მოხერხდა. არის იმედი, რომ მომავალში მეცადინეობას დავიწყებთ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია რაიონში ბევრ ადგილებში 100 პროც.-ით არის შესრულებული. მუშაობის დაწყებამდი იყო წერა-კითხვის 100 უცოდინარი, ახლა დარჩა მხოლოდ 20.

საკავშირო კლუბები არ არის. არის სამი დრამატიული წრე. იდგმებოდა ანტირელიგიური პიესები.

ყურადღება ექცევა წევრებში კოლექტიური შეგნების გაძლიერებას. ამ მიზნით რაიონში ხუთ სხვა და სხვა ადგილას მოეწყო მიწის დამუშავება კოლექტიურ საფუძველზე.

სახელოსნო სკოლის (ტეხნიკუმი არ არის) თითქმის ყველა მოწაფეები კომკავშირის წევრი არიან, ასევეა შრომის სკოლებშიც.

ურთიერთობა მასწავლებლობასთან კარგი გვაქვს.

პოლიტიკურ განათლების განყოფილებასთან მტკიცე კავშირი გვაქვს.

საკ. პერიოდული გამოცემები არ გვაქვს, საჭიროების დროს უშვებთ ფურცლებს, მოწოდებებს და სხვა. ადგილობრივი პოლიტ-განათლების განყოფილება სცემს ჟურნალს, რომელშიც კომკავშირის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

მოვაწყვეთ ხელის მოწერა „სპარტაკზე" (50 ც.), „მომავალზე" (25 ც.), რუსულ ჟურნალზე (30 ც.). გვაქვს სამი სამკითხველო.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის მუშაობა სენაკის მაზრაში.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრების აღწერა გაცხოველებით ჩატარდა. სულ ირიცხება 1180 წევრი და კანდიდატი, იმათგან 650 მუშა, 445 მოწაფე, 21 ინტელიგენტი, 65 საბჭოთა მოსამსახურე და 18 ქალი. ორგანიზაცია აერთიანებს 69 უჯრედს, 35 თემს—8 რაიონს.

წრეების მუშაობა.

სისტემატურად მუშაობს 95 პოლიტიკური წრე, რომელთა წევრების რიცხვი შეადგენს 685 კაცს. მოწყობილია 4 მარქსისტული წრე, სადაც ეხლა არჩევენ ისტორიულ მატერიალიზმს და ბოგდანოვის პოლიტიკური ეკონომიას. უპარტიოთა შორის მუშაობის საწარმოებლად, მოწყობილია სამი პოლიტიკური წრე; ამ წრეებს უპარტიოები დიდ ყურადღებას აქცევენ. ამას წინად მიღებული ლიტერატურა დაეგზავნათ ყველა თემის უჯრედებს. მაზრაში არის 21 პატარა სამკითხველო—წიგნთსაცავები. განზრახულია ყველა თემებში იქნეს მოწყობილი ასეთი სამკითხველოები. კოლექტიური მუშაობა დაყენებულია სათანადო სიმაღლეზე. ყველა კამპანიებში კოლექტივები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ; მათში ხშირად გამოდიან მოხსენებებით.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.
(10 ივნისი)

ჩერვონცები —13,250 ათასი.
გირვანქები—15,200 ათასი.
დოლარები — —3,450 ათასი
ლირა — — —2,150 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშნები—20.

ძვირფასი ლითონების ფასები.
(10 ივნისი).

ოქრო 96 სინჯით—6 მ. 30 კ.; ოქრო 56 სინჯ.—3 მ. 16 კ.; ვერცხლი 84 სინჯით—მისხალი 12, კ., ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—32 კ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცები ბაზარზე ცოტა გამოდის, რისთვისაც მისი მოთხოვნილება და ფასი იზრდება. დანარჩენი ვალიუტა სუსტათაა.

საქონლის ბაზრის ფასები.
(საბითუმო)

ფქვილი „კუპჩატკა"—3600, ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—2800—3100. ადგილობრივი ფქვილი—1700. ყუბანის ხორბალი—1500—1600. ადგილობრივი ხორბალი—1300—1400. ლობიო 600—1000. კარაქი 1 ხარ. 26.000. ერბო—21.000. აქულის ბრინჯი—8000. ალდაშის ბრინჯი—3800—4200. თუშური ყველი—5000—14000.

მუშკოპის ფასები.
11 ივნისი.

თეთრი პური—45 ათასი. თეთრი ფქვილი 1 ხარ.—100 ათასი. თეთრი ფქვილი 2 ხარ.—70 ათასი. ფხვნილი შაქარი—340 ათასი. საპონი „ბაბიტი"—350 ათასი. საპონი „ტოლე"—340 ათასი. ადგილობრივი მარმალილოს საპონი—330 ათასი. ლობიო—30—45 ათასი. ასანთი—30—45 ათასი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდებანი.

გოგირდის სიმჟავე 65,5 გრად. სოდა. ფანჯრის მინები. ცემენტი. სახურავის რკინეულობა. ბარები. მატყლი. ფხვნილი შაქარი. გერმანული მედიკამენტები. ნახევრად თეთრი სკიპიდარი. ქვამარილი. ს. მ. უ. ს. საფეიქრო—ზეთისა და საპნის გამომხდელი ტრესტის პროდუქტები. ფეხსაცმელები „სკოროხოდი" რუსეთის ასანთი. საამშენებლო ლურსმნები. მაკარონი და ვერმიშელი. ცხვრის ნაწლევები. სოველი-დამარილებული.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნახიჩევანის და კულინის ქვამარილი. ფქვილი 1 ხარ. სახურავის რკინეულობა. გამომწვარი მავთული № 14. ფხვნილი შაქარი. ბრინჯი. ოოკი. მაკარონი. ჩაი. ფოთლოვანი თამბაქო. შაბიაბანი. ბამბა. მატყლი. ლურსმნები. ქინაქინა. ცხვრის ნაწლევები. ბარები. სამუშაო ფეხსაცმელები უმაღლესი ხარისხის

ოფიციალური ხელშეკრულებები.
(11 ივნისი).

დადებულია ხელშეკრულებები: კულინის ქვამარილი 0,096 ჩერვონეცი ფუთი ფრანკო-ვაგონი თბილისი.

ყუბანის ხორბალი 1 ხარ. 130 მანეთი ფუთი 1923 წ. ფულის ნიშნებით ფრანკო თბილისი ვაგონი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.
(11 ივნისი)

დღეს შეჩნეულია რამოდენიმეთ გაცხოველება. 1 ხარისხის ფქვილზე მოთხოვნილება გაცხოველებულია, ადგილობრივ ხორბალზე—სუსტი მოთხოვნილებაა. დანარჩენი უცვლელადაა.

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

ჭიათურის შავი ქვის მადნის ამოღება და ექსპორტი 1923 წ. აპრილის განმავლობაში.

ა. | წ. აპრილის განმავლობაში ჭიათურის რაიონში ამოღებულია სულ 404 070 ფუთი შავი ქვა, ამასთანავე ამიერ-კავკასიის სამადნო ამხანაგობაზე მოდის 376 250 ფ. ე. ი. 93 პროც. გასარეცხავ ფაბრიკაში შემოვიდა 1.079 250 ფ. მადანი, გარეცხილია 616.547 ფ. საიდანაც 42 პროც. ეკუთვნის ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებას და 38 პროც. კავკასიის სამადნო ამხანაგობას.

აღნიშნულ თვეში გატანილია ფოთიდან და ბათუმიდან 2 440.777 ფ. აქედან საფრანგეთში 904 465 ფ., ჰოლანდიაში 470,585 ფ., ინგლისში 467.618 ფ., ამერიკის შეერთებულ შტატებში 318.973 ფ., და გერმანიაში 279.136 ფ.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტი.

სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დაკვეთა.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის სამმართველომ მიიღო სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსაგან წინადადება დელიჟანის და კარაკლისის რაიონებში მატყლის დამზადების შესახებ.

სიმინდის ნაშთის გამოყენება.

რადგან ამიერ-კავკასიაში მოიპოვება სიმინდის დიდი ნაშთები, რომელიც არ გადის ადგილობრივ ბაზარზე, ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის სამმართველომ მხარი დაუჭირა საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადადებას პურის სპირტზე აქციზის დაკლების შესახებ და დაადგინა სიმინდის ნაშთი გამოიყენოს სპირტის გამოსახდელად.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდებანი.

გოგირდის სიმჟავე 65 ნახ. გრად. სოდა. ფანჯრის მინები. ცემენტი. სახურავის რკინეულობა. ბარები. მზესუმზირას ზეთი. მატყლი. ფხვნილი შაქარი. მედიკამენტები. ქვამარილი. კანაფი. ფართლეულობა. ფეხსაცმელები. საამშენებლო ლურსმნები. მაკარონი. გოგირდი „ბუდა". ცხვრის ნაწლევები. მარსელის საპონი.

ბირჟის მოთხოვნილება.

კანაფი. სახურავის რკინეულობა. მავთული გამომწვარი № 14. ფხვნილი შაქარი. ბრინჯი. ნახიჩევანის ქვამარილი. სხვადასხვანაირი ბაწრები. ჩაი. სოხუმის და ლაგოდეხის ფოთლოვანი თამბაქო. გოგირდი „ბუდა". შაბიაბანი ბამბა. მატყლი. ლურსმნები. ქინაქინა. 1 ხარ. ფქვილი. ცხვრის ნაწლევები. ბრეზენტი მოსასხამისათვის. სამუშაო ფეხსაცმელები.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

მიუხედავათ ვალიუტაზე ფასების ნაწილობრივი გადიდებისა, პურის პროდუქტების ფასები ადგილობრივ ბაზარზე დაკლებულია. შაქარი მტკიცეთაა, დანარჩენი უცვლელად.

საბირჟო კომიტეტში.

საბირჟო კომიტეტმა თავის სხდომაზე დაადგინა შესწიროს ჰაეროპლან „მუშკორი"-ს აშენებისათვის 200.000.000 მანეთი.

საკურტაჟო გადასახადის შესახებ.

საბირჟო კომიტეტის დადგენილებით საკურტაჟო გადასახადი შემცირებულია სახელმწიფო ორგანოებისა, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებებისათვის ნახევარ პროცენტიდან ერთი მეოთხედ პროცენტამდი, კერძო პირებისათვის კი 1 პროცენტიდან ნახევარ პროცენტამდე.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გერმანიის კენიგსბერგის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მომწყობ ბიუროსაგან წინადადება მიიღო მონაწილეობა მიიღოს გამოფენაში, რომელიც იხსნება 24 ივნისს.

კენიგსბერგის გამოფენას დიდი მნიშვნელობა ექნება გერმანიისათვის. გამოფენაში მონაწილეობას ღებულობენ 500 მეტი მსხვილი ფირმები.

კოოპერაცია

აჭარისტანის აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ.

აჭარისტანის მაზრებისა და თემების აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება აჭარისტანის მთავარ პუნქტებში მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსების შესახებ, ესალმება ცეკავშირის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომელსაც დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს აჭარისტანის მშრომელ მასებს ეკონომიურ პირობათა გაუმჯობესების დარგში და კულტურულად განვითარების სფეროში და ადგენს:

1) ცეკავშირის მიერ გამომუშავებულ გეგმას, აჭარისტანის ხუთ ეკონომიურად და გეოგრაფიულ რაიონებად გაყოფის შესახებ, კონფერენცია იწონებს და სთვლის აუცილებელ საჭიროდ მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებები იქნენ დაარსებული ქობულეთში, ბათომში (სადაც უკვე არსებობს), აჭარის-წყალზე, ქედაში და ხულოში;

2) ქობულეთში არსებული კოოპერატივი უნდა იქნეს გადაკეთებული „ეპოთ" ახალი კოოპერატიული მშენებლობის მიხედვით.

3) კონფერენცია ავალებს ყველა მაზრების და თემების აღმასკომების წევრებს, რათა მათ ჯეროვანი დახმარება გაუწიონ კოოპერაციის ხელმძღვანელთ ადგილობრივათ კოოპერაციის კამპანიის ჩატარებაში და მისი ორგანიზაციის მოწყობის დროს ფართო მშრომელი მასების შემოკრებაში კოოპერაციის გარშემო.

4) თემის და მაზრების აღმასკომის თავმჯდომარეთა და წევრთა კონფერენცია აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს, რათა ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს უფლება ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის ძალით არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ყოველივე ზომები იქნეს მიღებული, რათა ასეთები კოოპერაციის გარეშე არ დარჩეს, არამედ იყოს მისი ნამდვილი წევრი, რაც გულისხმობს საწევრო გადასახადის შემოტანას.

5) მიაჩნია რა კოოპერაცია ერთად-ერთ მთავარ ეკონომიურ ძარღვად სახელმწიფოს, რომელიც უნდა აკავშირებდეს სოფელს ქალაქთან, ყრილობა ავალებს ეკონომიურ ორგანიზაციებს, როგორც არის სასურსათო და მიწად მოქმედების კომისარიატები და ეკონომიური საბჭო, რათა მათ იმუშაონ კოოპერაციასთან მტკიცე კავშირში და ყოველივე ოპერაციები, რომელიც კი შეეხება ადგილობრივი ნაწარმოების შესყიდვას, მის დახმარებას და განაღდებას და საერთო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოვონ სრულ კონტაქტში კოოპერატიულ ორგანიზაციებთან. კოოპერაციის გარეშე მასთან დაუკავშირებლათ მოქმედება აღნიშნულ ორგანიზაციათა კონფერენციას მიაჩნია პირდაპირ დაუშვებლად. კონფერენცია სთვლის აუცილებელ საჭიროებათ, რათა ადგილობრივი ნაწარმოების დამზადების საქმე მთლიანად გადაეცეს კოოპერაციას.

6) ღებულობს რა მხედველობაში კონფერენცია იმას, რომ კოოპერაცია აჭარისტანისთვის ახალი მოვლენა არის და მას საკმაოდ ვერ იცნობს ხალხი, ამიტომაც ადგენს საბჭოთა კოოპერაციის იდეის პოპულიარიზაციისთვის, მისი ავტორიტეტის და პრესტიჟის ასამაღლებლად, ფართო მასებისათვის გასაცნობათ გაძლიერებულ იქნას მუშაობა აგიტაციის, პროპაგანდის და გამომცემლობის საშუალებით.

სისხლის აღების ადათის შესახებ.

აჭარისტანის ა. ს. ს. რესპუბლიკის სამაზრო და სათემო აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობამ, მოისმინა რა ცენტრალურ აღმასკომის და სახკომსაბჭოს დადგენილება სისხლის აღების ადათისაგან გამომდინარე სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მიესალმება საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯს და გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ აჭარისტანის მკვიდრთა შორის არსებული, ყოვლად დაუშვებელი, სისხლის აღების ადათი აღმოფხვრილ იქნება ძირიან ფესვიანად აჭარისტანის მოქალაქეთა შორის.

სამაზრო და სათემო აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობა, იზიარებს რა სავსებით იმ ზომებს, რომლებიც გათვალისწინებულია ზემოხსენებულ დადგენილებაში, ფიცსა სდებს მთელი თავის ენერგიით ხელი შეუწყოს მთავრობის მიერ გამომუშავებულ კანონის ცხოვრებაში გატარებას, რათა ბეგებ-აღების გვარეულობრივი და ნათესაობრივი და აგრეთვე კლასობრივი და სოციალისტურ უთანასწორობის ნიადაგზე წარმოშობილ მკვლელობას ბოლო მოეღოს, როგორც დახავსებულ მოვლენას, ყოვლად დაუშვებელს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში. გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც პირველად გამოეხმაურა ამ მოვლენას და მიიღო სათანადო ზომები ფეოდალურ ნაშთების ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად.

საკურორტო სამმართველოში

ბახმაროზე.

ინჟ. კენეცკი იგზავნება აგარაკ ბახმაროზე, სადაც იგი დანიშნულია საინჟინერო მუშაობის საწარმოებლად.

ბახმაროს ტყის დაცვისათვის.

ამხ. ნანეიშვილს დაევალა ბახმაროს სამთო სანიტარულ ოლქის ფარგლებში მდებარე ტყის დაცვისათვის მიიღოს შესაფერი ზომები და ადგილობრივი დათვალიერების შემდეგ წარმოადგინოს კოლეგიაში სათანადო მოხსენება.

40 ოთახი საბინაო ფონდისათვის ბახმაროზე.

თანახმად სრ. საქ. აღმასკომის და კომისართა საბჭოს № 29 დადგენილების ძალით წარმოებითი გეგმის თანახმად გადაირიცხა 40 ოთახი კურორტ ბახმაროს საბინაო ფონდში.

ოთახების ფასები.

კოლლეგიამ შემდეგი ფასები დააწესა ბახმაროს საბინაო ფონდის ოთახებზე 1 კატეგორიაზე—40 კაპ. ჩერვონცი, მე 2 კატეგორიაზე—30 კაპ. ჩერვ., მე 3 კატ.—20 კაპ. ჩერვ. ყოველ კვადრატიულ არშინზე.

ბახმაროზე მიწის ბაჟის შემცირება.

ბახმაროზე კოლეგიის დადგენილებით შემცირდა მიწის ბაჟი და არსებულის მაგიერ დაწესდა თვითეულ კვადრატიულ საჟენზე, რომელიც სახლსა და ეზოს უკავია 7 ნახ. კაპ. ჩერვ. აღნიშნული ბაჟი უნდა გადახდილ იქნას სეზონის დაწყებისთანავე.

დროებითი გამგის დანიშვნა.

კურორტ ბახმაროს გამგის თანაშემწედ დაინიშნა ოზურგეთის ჯანმრთელობის განყ. გამგე ამხ. თ. ჩიჩუა, რომელსაც დაეკისრა კურორტის გამგის თანამშრომლობა, [illegible] ექ. ვაწაძე მოვალეობის ასრულებას შეუდგებოდეს.

კურორტ ბახმაროზე უწესრიგოთ გაშენებულ სახლების შესახებ.

საკურ. სამმართველოდან წინადადება მიეცა კურორტის ცენტრში უწესრიგოთ გაშენებულ სახლების მეპატრონეებს გადაიტანონ თავიანთი სახლები სხვა ადგილას იმავე ზაფხულის სეზონში და გააშენონ ისინი გეგმის მიხედვით.

აგარაკ ბახმაროს მოწყობისთვის.

საკურორტო სამმართველომ აგარაკ ბახმაროს საორგანიზაციო და წყალსადენის შესაკეთებელ ხარჯების დასაფარავად გადასდო 200 მილიონი მანეთი.

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირში.

პროფლიტერატურა.

ქიმიკოსთა კავშირმა დაადგინა: შეიძინოს პროფესიონალური ხასიათის ლიტერატურა—წიგნები ქართულ და სომხურ ენებზე და გაავრცელოს მუშათა შორის.

მეტყავეთა კავშირში.

მრეწველობის მდგომარეობა.

მეტყავეთა კავშირის მრეწველობის საქმე კარგად არის დაყენებული. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა მეტყავეთა განყოფილებამ შეიძინა საკმაო მასალა. მრეწველობის განვითარების საქმეს დიდად ხელს უწყობს თავისი ენერგიული მოქმედებით მეტყავეთა განყოფილების გამგე ამხ. ხოდამიროვი.

მუშა-მეტყავის იუბილე.

მეტყავეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა: გაუმართოს მუშა მეტყავეს ამხ. კახიანს იუბილე, რომელიც 20 წლის განმავლობაში მუშაობდა პროფმოძრაობის გარშემო და დაარსა ბევრი ორგანიზაციები.

მეტყავეთა არტელი.

კავშირმა შუამდგომლობით მიმართა ქალაქის აღმასკომს, რომ მეტყავეთა არტელს დაუკლოს დაკავებულ შენობის ქირას, წინააღმდეგ შემთხვევაში არტელი ვერ იარსებებს და ამით კი ბევრი მუშა-მოსამსახურე დარჩება უმუშევარი.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში

კულტძალები.

კომუნალურ მეურნეობის კავშირმა წინადადება მისცა კულტგანყოფილებას, რომ მომავალ თვეებისთვის შეადგინოს კულტძალების აღრიცხვა და გააცხოველოს კულტმუშაობა 26 კომუნისტის და ავჭალის წყალსადენ კლუბებში.

ბავშვთა აგარაკები კოჯორში.

ბავშვთა აგარაკების მოსაწყობად კოჯორში კავშირმა დანიშნა თავისი წარმომადგენლად ამხ. პრიბილსკი, რომელსაც დაევალა ამ საქმის მოგვარება. აგარაკს დაერქვა როზა ლიუქსემბურგის სახელი.

ქალაქის ადგილკომები.

ივნისის თვეში მოხდება დათვალიერება ქალაქის ადგილკომების და გამოანგარიშებული იქნება ამ ადგილკომების წლიური ხარჯთ-აღრიცხვა.

დახმარება უმუშევართ.

მაისის თვეში კავშირმა შიმშილობის შედეგებთან, მებრძოლ ფონდიდან დახმარება ფულის სახით გაუწია 28 უმუშევარს.

ქრონიკა

ცენტრ. აღმ. კომიტეტში.

— **ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო.** ცენტრ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსდეს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო ამხ. მარია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით.

— **შტატების შემმოკლებელი კომისია.** პრეზიდიუმმა დაადგინა შესდგეს კომისია—საქ. სახელმწიფო დაწესებულებების შტატების შესამცირებლად და გასაწმენდათ არა სასურველ ელემენტებისაგან—შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. ქართველიშვილი, ქუჟიკაშვილი, ვარძიელი, ჯუღელი და მიქაძე.

— **ამხ. ერქომაიშვილის დანიშვნა.** ცენტრ. აღმასკომის დადგენილებით, ა.—კ. საფინანსო კომისარიატის რწმუნებულათ საქართველოში დაინიშნა ამხ. ერქომაიშვილი.

— **წითელი არმიელების ოჯახების უზრუნველყოფა.** პრეზიდიუმმა მიიღო დეკრეტის პროექტი წითელი არმიელებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

— **შრომის ორდენით დაჯილდოება.** პრეზიდიუმმა სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, დაადგინა—ჩათახის ქარხნის ასაღორძინებლად თავგანწირული მუშაობისათვის, ამხ. ზენო კალანდაძე დაჯილდოვებული იქნეს შრომის წითელი ორდენით.

ქალაქის აღმასკომში

— **შტატების შემცირება.** დაიწყო მუშაობა აღმასკომის დაწესებულებებში შტატების შემამცირებელ კომისიამ. გადაწყვეტილია შემოკლდეს მოსამსახურეთა რიცხვი 30 პროცენტით.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლა.** აღმასკომის საჭეითლო სექციის ცნობით მაისის განმავლობაში—ქალაქის სხვა და სხვა უბნებში ციმბირის ჭირით ოთხფეხი საქონლის ავად გახდომის შემთხვევა იყო სულ 15.

განათლების კომისარიატში

— **მივლინება.** განათლების კომისარიატმა ბაქოში მიავლინა სოც. აღზრდის მთავარ მმართველობის ინსტრუქტორი ამხ. ალი-ზადე საქართველოში არსებულ მუსულმანურ სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების გახსნასთან დაკავშირებულ კითხვების გამოსარკვევათ.

შრომის ბირჟაში.

— უმუშევრების მოძრაობა. ივნისის 9-ს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 524 უმუშევარი, ჩაეწერა იმავე დღეს ახალი უმუშევრები—164. გაიგზავნა სამუშაოზე 50.

სხვა და სხვა.

— **ოპიუმის მწეველთა შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ ვარანცოვის ქუჩაზე № 33 აღმოაჩინა ოპიუმის მწეველთა სარდაფი—დაპატიმრებულია 11 კაცი. დაპატიმრებულთა შორის უმრავლესობა სპარსელებია.

შეცდომის გასწორება

კვირას, 10 თიბათვის ნომრის მოწინავე სტატიაში, სამწუხაროთ, ბევრი ისეთი კორექტურული შეცდომები მოყვა, რომ აზრს მეტის მეტათ ამახინჯებს.

უმთავრესი მათგანი:

1: **პირველ სვეტზე სიტყვების**—„**დაარსეს პირველი ინტერნაციონალი**". შემდეგ გამოტოვებულია:

„შემდეგ იყო „**პარიზის კომმუნა**", რომელმაც პირველი ორ ფაქტორთან ერთად აუწერელი სიხარული მოგვარა კაცობრიობის ყველა ტვირთმძიმეთ და დაჩაგრულთ... და იმავე დროს, მეორე მხრივ, საშინელი შიშის ზარი დასცა ყველა მტარვალ მძარცველ ბურჟუა-კაპიტალისტებს, თავად-აზნაურობასა და მათ გვირგვინოსან მეფეთ...

2. **მეორე სვეტზე,** გამოყოფის ნიშნის შემდეგ, პირველი აბზაცი სრულიად არეულია. ის ასე უნდა იყოს:

„**ჩვენმა ეგნატე ნინოშვილმა**—**ინგოროყვამ,** ულარიბესი გლეხის შვილმა, ქალაქის პროლეტარად გამხდარმა, რომელსაც ერთგვარათ ქირაობდენ—ფიზიკური შრომისათვის ბათომში უცხოეთიდან შემოჭრილი ნავთის ექსპორტიორ-კაპიტალისტები, და ე. წ. გონებრივი მუშაობისათვის (გომისა და ყვირილის „შავი ქვის" კანტორებში) ჭიათურიდან მარგანეცის ექსპორტიორი ქართველი აზნაური-კაპიტალისტი **ნიკო ლოლობერიძე**—თავისი ბავშვობა, სიჭაბუკე და დავაჟკაცება გასულ საუკუნის 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში განვლო, ე. ი. იმ დროს, როცა ზემოთ მოკლეთ ნაჩვენები საერთაშორისო და შინაგანი მდგომარეობა იყო ევროპასა და რუსეთში".

3. **იმავე სვეტზე** შემდეგ აბზაცის ბოლოს გამოტოვებულია წერტილამდე სიტყვა „ბატონობას" და აქედან ზევით მეექვსე სტრიქონში „**შეძო**" მაგიერ უნდა „**შეძლო**"...

4. **მესამე სვეტზე,** სამი ვარსკვლავიდან, მეორე აბზაცი იწყება: „მან დიდებას, დიდებთან ლაქიობა არჩია"... უკანასკნელი **მძიმე** (ЗАПЯТАЯ) არ უნდა... უნდა იყოს: „**ლაქიობას**"...

5. **იმავე სვეტზე** ბოლო აბზაცი, ოთხი სტრიქონით შემდეგ სვეტზე გადასული, სულ არეულია. დაბეჭდილის მაგიერ ასე უნდა იყოს: „იმ იაჩეიკიდან, რომელიც მოეწყო და შეიქნა უმთავრესად მისი უსაზღვრო ენერგიით მე 90 იან წლების პირველ ნახევარში აქ თბილისში და რომელსაც ჩვენგან მისი დაშორების („სიკვდილის") შემდეგ ლეგალურათ ეწოდა „**მესამე დასი**"—აი, ამ იაჩეიკის იდეიურ მუშაობასა და გავლენის ქვეშ მუშების მასსებიდან გამოვიდენ პირველი წევრები **რევოლიუციის ავანგარდისა**—**საქართველოს კომპარტიისა,** რომელიც ამიერ-კავკასიის სხვა ძმურ კომპარტიებთან ერთად განუყრელათ შეერთებულნი არიან **რ. კ. პ.**-სთანა და კომინტერნთან. ეს ორი უკანასკნელნი კი დღეს ხელმძღვანელობენ **საბჭოთა მუშურ-გლეხურ დიდ კავშირს—ს. ს. ს. რ. და საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!**

6. იმავე სვეტზე, გამოყოფის ნიშნის შემდეგ, მეორე აბზაცის უკანასკნელი წინადადების ბოლო ასე უნდა იყოს: „და მით შესაძლებელი გახადეს დღევანდელი ჩვენი მიღწევანი—**საბჭოთა მუშურ გლეხური მთავრობა და საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია...**

მუშათა ცხოვრება

ახალი სასადილოს გახსნა უმუშევართათვის.

უმუშევრობამ ამ ბოლო დროს ფართე ხასიათი მიიღო ჩვენშიც. ეს მოვლენა დიდი უბედურებაა მუშებისათვის.

საჭიროა მთავრობამ და პროფესიონალურმა კავშირებმა აღმოუჩინონ უმუშევრებს მაქსიმალური დახმარება. უმუშევარ წევრებს შეძლების დაგვარად უნდა მიაწოდონ მათ უფასო სასადილოები და მისცენ სხვა დახმარებაც.

ამ მხრივ საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირმა გადასდგა პირველი ნაბიჯი. მან მოაწყო მშვენიერი და სუფთა სასადილო შუა-ბაზარში (სომხის ჩიხი № 5). ჯერჯერობით აქ სადილობს 13[illegible] კაცი (კავშირის წევრები) უფასო სადილები პირველ რიგში ეძლევათ მრავალ რიცხოვან ოჯახებს შემდეგი გეგმით: ყოველ სამ წევრისაგან შემდგარ ოჯახს ეძლევა ორი სადილი, გირვანქა თეთრი პურით სულზე. სასადილო გაიხსნა 6 ივნისს ამხანაგებმა ატოევმა და მელიქოვმა წარმოსთქვეს სიტყვები და აღნიშნეს დღევანდელი მდგომარეობა და კავშირების ამოცანები. ილაპარაკეს უმუშევრებიდან ნ. იტრიევმა და სხვებმაც. შემდეგ ატოევის წინადადებით არჩეულ იქნა სამი კაცი უმუშევრების წრიდან მეთვალყურედ სადილების გაცემის დროს, მათ ევალებათ სასადილოში მერიგეობა ყოველ დღე. შემდეგ გადაღებულ იქნა ფოტოგრაფიული სურათი, კრება დასრულდა „ვაშა"-ს ძახილით და ამხანაგები შეუდგნენ სადილის მიღებას. სხვა კავშირებმაც უნდა მიბაძონ საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის საუცხოვო მაგალითს.

მუშკორი მკერვალი—ნიკო.

მთლიან მუშათა კოოპერატივის პურის საცხობებში.

მთლიან მუშათა კოოპერატივს ამ ჟამად აქვს ოთხი საკუთარი პურის საცხობი.

ა. / წ. მარტამდე კოოპერატივს ჰქონდა, მხოლოდ ერთი პურის საცხობი № 1. მარტის რიცხვებში გაიხსნა საცხობის № 2 და მაისის რიცხვებში გახსნილი იქნა პურის საცხობი № 3.

საცხობების გამრავლებამ გააფართოვა წარმოებაც, ხოლო წარმოების განვითარებამ კი მოგვცა ის შედეგები, რომ სამუშაოზე მოწვეულ იქნენ შრომის ბირჟიდან 100 უმუშევარი, რომელთა ოჯახები სასოწარკვეთილებაში იყვნენ ჩავარდნილნი მათი გარჩენალების უმუშევრობის გამო. დღეს ყველა ამ პურის საცხობებში არის 125 მომუშავე, რომელთაც ყავთ ერთი ადგილობრივი კომიტეტი.

მუშებს დიდი ჯაფა აწევთ და ისინი ბეჯითადაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ამ ჟამად ოთხივე ფურნეებში ცხვება 1000 ფუთზე მეტი პური. უწინ კი მხოლოდ 250 ფუთი ცხვებოდა.

მომუშავეთა ეკონომიური მდგომარეობა შედარებით კარგია. როგორც მუშები ეკიდებიან თავიანთ სამუშაოს ერთგულად, ისე კოოპერატივის გამგეობის მიერ სასურველად ხორციელდება მუშებთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულების პირობებიც.

გარდა სამუშაო ხელფასისა, თითოეულ მუშას ეძლევა დღიურად 3 გირ. პური. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ახლად მიღებულ მუშებს შორის ბევრს არა აქვს საცხოვრებელი ბინა, რაც უნდა ჩაითვალოს დიდ ნაკლად. ამას სათანადო ყურადღებას აქცევს გამგეობის კავშირი, რომელიც ცდილობს უბინაო მუშებისათვის საერთო ბინის შეძენას. იმედია, ახლო მომავალში მუშები დაკმაყოფილებულ იქნებიან ამ მხრივაც.

მუშკორი ჩხმელი.

მუშათა ქრონიკა

— **მუშა კორესპონდენტები იგნატე ნინოშვილის ძეგლთან.** ამა წლის 10 ივნისს გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე მოწვეული იყვნენ აღნიშნულ გაზეთის თანამშრომელი მუშა-კორესპონდენტები იგნატე ნინოშვილის ძეგლის გასახსნელ საზეიმო მიტინგზე დასასწრებლად. ამხ. ამხ. მუშკორები რედაქციაში გამოცხადდნენ თითქმის უკლებრივ დილის 10 საათზე, სადაც 11 საათამდე მეცადინეობდნენ. აქ განხილულ და შესწორებულ იქნა რამდენიმე წერილები და ლექსები ამხ ამხ. მუშკორებისა. ნინოშვილისთვის მიძღვნილი, წაიკითხეს აგრეთვე თავისი ფრიად საინტერესო იუმორისტული ფელეტონები ამხ. გიგო ხეჩუაშვილმა და სანდრო ბაჯიაშვილმა.

დილის 11 საათზე მეცადინეობა შეწყდა და ამხ. მუშკორები მწყობრად გაემგზავრნენ იგნატე ნინოშვილის ძეგლთან მოწვეულ მიტინგზე. აქ ჩვენმა თანამშრომელ მუშა-მგოსნებმა: გიგო ხეჩუაშვილმა, გიორგი ჯაბაურმა, შინატეხელმა და ახალგაზრდა ლადიკო დევაძემ წარმოსთქვეს ლექსები იგნატე ნინოშვილისთვის მიძღვნილი.

— **მუშების დახმარება გლეხებისათვის.** № 1 ლითონის ქარხნის მუშებმა, რომელნიც ექსკურსიის დროს დაუახლოვდნენ სოფელ ოლგინსკის მცხოვრებლებს, დაამზადეს სპეციალურად მიწის დასამუშავებელი იარაღები და გაუგზავნეს საჩუქრის სახით აღნიშნულ გლეხებს.

— **ამავე მუშებმა და ხსენებულ სოფლის მცხოვრებლებს.** გაუგზავნეს თავისი ბიბლიოთეკიდან სხვა და სხვა წიგნები, გაზეთები და ბროშურები.

— **მუშების დახმარება საჰაერო ფლოტისთვის.** როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ ერთხმად თავის ხელფასიდან გადასდვეს 290 მილიონი მანეთი.

— **მუშათა დასასვენებელ სახლების სასარგებლოდ.** ამავე მუშებმა მუშათა დასასვენებელ სახლების სასარგებლოდ გაიღეს თავისი დღიური ხელფასი.

— **დახმარება უმუშევრებს.** მიწატყის მუშაკთა კავშირმა დახმარება გაუწია კავშირის უმუშევარ წევრებს თითოეულ წევრზე ორ მილიონ მანეთის მიცემით.

— **თბილისის მექანიკური ქარხანა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობაზე.** არსენალის საქარხნო კომიტეტმა დაადგინა ამიერიდან არსენალის ქარხანა იწოდებოდეს: „თბილისის მექანიკ. ქარხანა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობისა".

შრომის ექსპლოატატორების პასუხისგებაში მიცემა

შრომის კანონების დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემული არიან შემდეგი მოქალაქეები:

— **მიქაელიანც — მახვილაშვილი** ტრაქტირის პატრონი (მადათოვის ქ. № 3), რომელიც არ იცავდა დაკანონებულ სამუშაო დროს მუშა ავაკუმანოვის მიმართ, მასთან ის არც დაზღვეული ჰყოლია მას და მისთვის არც საანგარიშო წიგნაკი მიუცია.

— **კავკასიის ცალკე არმიის პურის საცხობის გამგე კარლ ხრჟანოვსკი,** (ნიკოლოზის მოედანი № 1) რომელსაც ორი ხელოსანი დაზღვეული არ ჰყოლია. საცხობში არ აღმოჩნდა აგრეთვე წიგნი შრომის ინსპექტორის შენიშვნებისთვის.

— **კახიანი ასატური-სახელმწიფო ტყავეულობის მაღაზიის გამგე** (სომხის ბაზარი) იმის გამო, რომ მაღაზიაში არ იყო სავსებით დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და მუშებსაც არ აღმოაჩნდათ საანგარიშო წიგნაკები.

— **ქადეიშვილი ამხ. „კამოს სახელობის" ქარხნის გამგე,** იმის გამო, რომ მუშების მიმართ არ იყო შესრულებული კოლექტ.-ხელშეკრულებით დადებული პირობები; მუშებს არ აღმოაჩნდათ საანგარიშო წიგნაკები და ქარხანაში არ იყო შემოღებული შინაგან მოწესრიგების წესები.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(ბინის ტარიფიკაცია).

კითხვა: რა რაოდენობით იხდის ბინის ქირას ის ოჯახი, რომლის ყველა წევრები ირიცხებიან საბჭოთა სამსახურში მუშა-მოსამსახურეებად და შრომის ხელფასს ღებულობენ სხვა და სხვა სატარიფო ხარისხით?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში ყოველი მათგანი (ოჯახის წევრი) ბინის ქირას იხდის თანაბრად მის მიერ დაჭერილ საცხოვრებელ ბინის მოედნის რაოდენობისა და შრომის ხელფასის განაკვეთის მიხედვით.

კითხვა: აქვს თუ არა სახლის, ანუ ბინის პატრონს უფლება მოსთხოვოს მუშა-მოსამსახურეს მთელი თვის ბინის ქირა საქონლის მანეთას იმ კურსით, რომელიც შრომის კომისარიატის მიერ დაწესებულ იქნება ყოველ თვის ბოლოს? (ბინის ქირის გადახდის დროს?)

პასუხი: ვინაიდან მუშა-მოსამსახურენი იღებენ შრომის ხელფასს თვეში ორჯერ, და საქონლის მანეთის სხვა და სხვა კურსით, ამიტომ ბინის, ანუ სახლის პატრონს, არა აქვს უფლება მოსთხოვოს მუშა-მოსამსახურეს ბინის ქირა საქონლის მანეთის თვიური საშვალო კურსზე ზევით.

კითხვა: რა კატეგორიით იხდიან ბინის ქირას ის ყოფილი მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც ბინის ქირის გადახდის დროს (თუნდ დროებით) ეწევიან ვაჭრობას, კომისიონერობას და სხ.?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში ისინი (ყოფილი მუშა-მოსამსახურენი), და მათი ოჯახის წევრები, როგორც არსებობის სახსრის არა დაქირავებულ შრომის შემოსავლით მიმღებელნი, ბინის ქირას იხდიან როგორც სხვა მოქალაქენი მე 22-კატეგორიით.

კითხვა: განთავისუფლებულია თუ არა გადასახადისაგან და რა რაოდენობით მუშა-მოსამსახურეთა ბინის ის სივრცე, რომელიც შენობის ტიპიურ და წმინდა ტეხნიკურ მიზეზების გამო აღემატება თითო სულზე დაწესებულ საცხოვრებელ სივრცის ნორმას?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში ის საცხოვრებელ სივრცის მონარჩომი, რომელიც მუშა-მოსამსახურეთ მიერ მხოლოდ საცხოვრებლად არის დაჭერილი, საერთო ნორმიდან 30 პროცენტის ანგარიშით სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისგან.

(იხ. ქალ. სახკ. დადგ. № 11 ა.-წ. 8 მაისის, მუხ. 14, 3, 6).

ხელოვნება

მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის გასტროლები

„წარღვნა"

მესამე წარმოდგენისათვის სტუდიელებმა დასდგეს ბერგერის პიესა „წარღვნა".

პიესის შინაარსი ამოღებულია ამერიკელების თანამედროვე ცხოვრებიდან. პიესა ნათარგმნია და მისი დეტალები ჩვენთვის უცხოა, თუმცა იდეა საერთო-საკაცობრიოა. ამ პიესაშიც აგრეთვე არ არის კონკრეტიული შინაარსი—აქ კი მეტი ტენდენციაა ხაზი გაესვას იმ მდგომარეობას, რომ უბედურების დროს ადამიანი უფრო უბრალო, უკეთესი და გულჩვილი ხდება და როდესაც უბედურება ჩაივლის—ის იხდის დროებით ნიღაბს და ისევ ძველ იდეალებისა და მისწრაფებების მიმდევრათ რჩება.

შინაარსი: მდინარე მისისიპის წყალდიდობის დროს გადალახა ყველა შემაკავებელი ჯებირები და აუარებელი ზარალი მიაყენა მის ნაპირზე მდებარე ქალაქს. წყალდიდობამდის ერთ რესტორანში შემთხვევით თავი მოუყრიათ სხვადასხვა პროფესიის ხალხს — ხალხი ერთმანეთისათვის უცნობია და ნაწილობრივ მოწინააღმდეგენიც კი. წყალი სულ მაღლა იწევს. აი შესწყვეტს მუშაობას ტელეგრაფი, შემდეგ—ტელეფონი, შემდეგ ქრება ელექტრონი. გუშინ ერთმანეთისათვის უცნობი ხალხი მეგრად შესცქერის აუცილებელ დაღუპვას. იმათ იციან, რომ დაღუპვა ელის მათ ყველას და ეს საერთო უბედურება აახლოვებს მათ. ყველა ივიწყებს წინანდელ განცალკევებას, ბირჟის მოწინააღმდეგენი მეგობრებად ხდებიან, რესტორანის პატრონი ფულს არ ღებულობს პროდუქტებისა და ღვინოსათვის, ახალგაზრდა ამერიკელი კვლავ იგრძნობს თავის გულში საპასუხო გრძნობას მის მიერ მიტოვებულ ქალისადმი და ივიწყებს იმ მილიონების შესახებ, რომელიც მას მისმა საცოლემ უნდა მოუტანოს,—ერთი სიტყვით ყველას დაღუპვა მოელის, ყველა მეგრად ელის სიკვდილს და ყველა მეგობრებია. მაგრამ აი ქარმა შეიცვალა მიმართულება, წყალმა დაიწია და წყალდიდობამაც დაიკლო. ისევ იწყებს მუშაობას ტელეფონი, ტელეგრაფი, ელექტრონის სადგური. ყველა გადარჩენილია. აქ ისინი იხდიან ნიღაბებს და ისინი ისევ ძველი ხალხია, რომელთა იდეალი არის მოგებისაკენ მისწრაფება, ცხოვრების დოვლათის მეტი რაოდენობის დაგროვება შრომისა და ენერგიის სულ მცირედი ნაწილის დახარჯვით—მათი credo-homo homini lupus est.—ეს თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოების ძირითადი ბაზისი.

დადგმა და მსახიობთა თამაში, როგორც ყოველთვის, ნამდვილად მხატვრული იყო, მაგრამ სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი მსახიობები ასეთ ნახევრად უშინაარსო პიესაზე ხარჯავენ თავის ნიჭს.

მშვენივრად გამოგვცა მაკლერ ებრაელის როლი მოქ. აზარინმა, რომელიც თავისი თამაშით და მანიპულიაციებით სიცილს იწვევდა აუდიტორიაში.

ყურადღების მისაქცევია მეტად გრძელი ანტრაქტები.

„ახალგაზრდობა"

ლეონიდ ანდრეევმა თავის ახალ ნაწარმოებას „ახალგაზრდობა"-ს არ უწოდა არც კომედია, არც დრამა და არც პიესაც კი, არამედ მოთხრობა 5 მოქმედებით. და მართლაც ანდრეევის „ახალგაზრდობას", რომელიც სტუდიამ დასდგა 2-რე წარმოდგენისთვის, არა აქვს დრამატიული ნაწარმოების არც შინაარსი, არც მოქმედების ხლართი არც ამ ხლართის გახსნა. ანდრეევი, როგორც კალეიდოსკოპში, უდგენს მაყურებელს ყრმობის მთელ რიგ სურათებს რუსეთის ერთ ერთ პროვინციელ ქალაქის სტუდენტებისა, სტუდენტ ქალებისა, გიმნაზიელებისა და გიმნაზიელ ქალების სახით, რამდენი სიმხნევე, ახალგაზრდობა და რწმენაა ცხოვრებისადმი ამ ახალგაზრდებში! მოქმედება სწარმოებს ერთ საშუალო მუშაკის რუსულ ოჯახში, სადაც ისეთი ნათელი ოჯახური წესებია, ისეთი პატივისცემა შვილებისა მშობლებისადმი, ისეთი უბრალო მეგობრული დამოკიდებულება და სიყვარულია შვილებისადმი მშობლების მხრივ. ერთი სიტყვით, ახალგაზრდული სიმხნევე ქრის ყველა ამ მოწყობილობიდან.

სცენაზე გამოყვანილია დაუდგრომელი ხასიათის ახალგაზრდა ვსევოლოდი—ის უფროსია იმ ოჯახში სადაც მოქმედება სწარმოებს.

ვსევოლოდი გატაცებულია ცხოვრების აზრის და მიზანის საკითხებით. მას აწვალებენ კითხვები—„რისთვისაა სიცოცხლე", „რა დანიშნულება აქვ სიცოცხლეს" „რისთვისაა რომ ერთნი კარგათ გრძნობენ თავს, მეორენი კი ცუდათ" და სხვა.

ყრმის ასეთი ტანჯვა მორალურ თანაგრძნობას პოულობს ვსევოლოდის მეგობარ კორნეიში—ახალგაზრდაში, რომელიც ვსევოლოდის უაღრესად ერთგული და მოყვარულია. ვსევოლოდისა და კორნეის მეგობრობა რაღაც იდეალურია—ასეთად გვეჩვენა ჩვენ ორი ახალგაზრდის მეგობრობა საბერძნეთის ძველი ისტორიიდან,—ორესტისა და პილადის მეგობრობა; მაგრამ მიუხედავად ასეთი მეგობრობისა, ეჭვები მაინც არ სტოვებენ ვსევოლოდს და ის ახლოს სდგას თვითმკვლელობასთან, ცოტა როლს არ თამაშობს ამაში ვსევოლოდის გატაცება და მისწრაფება ახალგაზრდა ქალით ზოიათი, თავისი დის ამხანაგით. ვსევოლოდი წმინდა გაურყვნელი ახალგაზრდაა, მას უყვარს და ეჭვი ეპარება ახალგაზრდა ქალის საპასუხო გრძნობაში, ყველა ეს ქმნის მას მელანქოლიკად და მიზანტროპადაც კი.

მაგრამ აი უბედურება ეწვია ვსევოლოდის ოჯახს, უეცრად გარდაიცვალა ოჯახის მამა. ოჯახს მოაკლდა ზნეობრივი და მატერიალური დახმარება. ოჯახის ერთად ერთ იმედათ ხდება უფროსი ვაჟი—ვსევოლოდი. ახალგაზრდაში ხდება სრული და რადიკალური გარდაქმნა. ის გრძნობს თავის მოვალეობას მამის სიკვდილის შემდეგ აფორიაქებულ ოჯახის წინაშე. მასში გაიღვიძებს სიმხნევე და მისწრაფება სიცოცხლისაკენ. აი პიესის მთელი შინაარსი.

მე მიძნელდება ვსთქვა ვინ უფრო ნათელი სურათები მოგვცა, ლეონიდ ანდრეევმა თუ სტუდიელებმა. მე ვფიქრობ, რომ უკანასკნელებმა, რადგან შესრულება ქებას აღემატება. პიესა, როგორც სჩანს, უსუფლიოროდ მიდის და კონცერტიულადაც მიმდინარეობს. სცენაზე ნამდვილი ცხოვრებაა.

მაგალითად, რა კარგია ორი მეგობარის ტკბილი ბაასი—ვსევოლოდისა და კორნეის, მიუხედავათ მათი ბაასის შინაარსის რამოდენიმედ არა ბუნებრივობისა—ის გატაცებით თავისი გულწრფელობით და პირველი სურათი, როდესაც ქრება ზამთარი და წმინდა ჰაერზე და გაზაფხულზე ლაპარაკობენ? ნამდვილად გგონიათ, რომ მართლაც წმინდა ჰაერს და გაზაფხულის ნიავსა გრძნობთ და აყვავებულ ხეების სუნი ქცემთ;—საუცხოვო იყო ღამის პეიზაჟი რკინის გზის ხაზის მიმართულებით; გზის დარაჯის შეძახილი მატარებლის მოახლოვების შესახებ—ეს ხომ სრულ ილიუზიას ქმნის. ახალგაზრდობის მთელი წარსული სიმღერით, სიცილით და ხუმრობითაა აღსავსე—ეს თვით სინამდვილეა. მესამე აქტი როდესაც ლაპარაკია ოჯახის უფროსის სასიკვდილო ავათმყოფობაზე—აქაც ნამდვილი ცხოვრებაა: სცენაზე არ არის ავათმყოფი, მაგრამ მას გრძნობს მაყურებელი, ოჯახის ავათმყოფ მამის სიკვდილის მომენტი კი ჟრუანტელს გვრის მაყურებელს. და ყველაფერი ეს რა უბრალოა, როგორ ბუნებრივად ხდება, არავითარი ტენდენციოზობა ან უტრიროვკა. აი სად არის სტუდიელების გამარჯვება, რომელთა წარმოდგენებიც ყოველთვის თითქმის სავსე აუდიტორიას იზიდავს.

ძველი

რუსთაველის თეატრი.

ქართულ თეატრს წინედაც ნაკლებათ ჰქონდა დისციპლინა და სიწითლე, მაგრამ უკანასკნელათ ეს ნაკლი ისე საგრძნობი გახდა, რომ ის საბედისწერო გზაზე შეაყენა და თუ სეზონი მაინც ჩატარდა, ეს მხოლოდ მარჯანიშვილის წყალობით.

და ეს უპატრონობა სცენის, მისი საჭიროთ მოედნათ გახდომა და უმეტეს შემთხვევაში „მოსიარულე ცირკათ" ქცევა, ყოველ სეზონს დააყენებს კითხვის ნიშანის ქვეშ, თუ აქის წინააღმდეგ ერთხელ და სამუდამოთ არ იქნა გადაჭრილი ზომები მიღებული.

მოკლეთ: წლევანდელი სეზონი „მესიას" (?) გამოჩენით თითქმის გაიმართა წელში, რის განმავლობაში დაიდგა რამდენიმე, საყურადღებო ახალი პიესა და თეატრმა მიიღო თავის ნამდვილი სახე.

მაგრამ—სეზონის დასასრულს დაიწყო ჩვეულებრივი ამბავი: დაწყებული მოლარედან, გათავებული სცენარიუსამდე, ყველამ გაიმართა ბენეფისი. ბენეფისებმა ისეთი ეპიდემიური ხასიათი მიიღეს რომ ძნელია დამახსოვრება, ვინ გამართა ის, ან ვის უნდა გაემართა, და რაც ყველაზე უფრო მიუტევებელია, ეს „სადღესასწაულო" წარმოდგენები იდგმებოდა ყოველგვარ მომზადებისა და რეჟისორის გარეშე. მიუხედავათ იმისა, რომ სეზონი დასრულდა 3 ივნისს „ბენეფისები" მაინც გრძელდება და არავინ იცის როდის შეწყდება. რა არის ეს თუ არა გამასხარავება სცენის? სად არის ადმინისტრაცია?

9 ივნისს, გაიმართა „დამსახურებულ" მსახიობის ნიკო გვარაძის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნა „ვიოლას" მიერ გადაკეთებული უკეთ გადამახინჯებული „სურამის ციხე". წარმოდგენამ მიიზიდა აუარებელი საზოგადოება... მაგრამ პიესა, მოკლებული ყოველგვარ თეატრალურ ღირსებას, ისიც ურეჟისოროთ დადგმული—უფრო სოფელში გამართულ სახელდახელო წარმოდგენას გავდა, ვიდრე აკადემიურ თეატრს შეეფერება. წარმოდგენას კიდევ უფრო კარიკატურულ ხასიათს აძლევდენ მონაწილენი (რამოდენიმეს გამოკლებით) როლის უცოდინარობისა და სიმთვრალის გამო. კმარა! ჩვენ მოვითხოვთ: ასეთი ფანტაზიები და აბუჩად აგდება ჯერ ხელოვნების და შემდეგ საზოგადოების, აღარ გამეორდეს **რუსთაველის აკადემიურ დრამის თეატრში.**

კასიო.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

უძრავი ქონების ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

1923 წლის ივნისის 2.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 16-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლათ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებული იქნეს ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის ქალაქებში, სოფლებში, კოლონიებში და სხვა დასახლებულ ადგილებში უძრავი ქონების სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა ცეცხლისაგან.

მუხ. 1.

კონებრივი სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა პირველ რიგში შემოღებულ იქნეს ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებული ადგილებისთვის, ვადით ამა 1923 წლის ივნისის 1-დან ამავე წლის სექტემბრის 30-დე.

მუხ. 2.

კონებრივი სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა გავრცელდება ყველა არამუნიციპალიზაცია ქმნილ ნაგებობაზე, რაც ეკუთვნის კერძო პირს და აგრეთვე ამხანაგობას, საზოგადოებას, არტელს, კომუნას და სხვა კოლექტივს.

შენიშვნა. კოოპერატიული ორგანიზაციებისა და მათი შენაერთებისადმი კუთვნილი ქონება, უკეთუ იგი არ არის მიქცეული კოოპერატივითა საურთიერთო დაზღვევისათვის აუცილებლათ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევით დაზღვეული. ხოლო ქონება, რაც მთავრობის ორგანოების მიერ გადაცემული აქვს კოოპერატიულ ორგანიზაციებს და მათ შენაერთებს საიჯარო ან სხვა სახის დროებით სარგებლობაში, ყოველ შემთხვევაში აუცილებლათ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევით დაზღვეული.

მუხ. 3.

კონებრივი სახელმწიფო სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა შემოღებულ იქნეს რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტებში (ჩერვონცებში) გამოანგარიშებით; ამასთანავე სადაზღვევო უზრუნველყოფა ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებული ადგილებისთვის დაწესებულ იქნეს ნაგებობის კუბიკური სივრცით, შემდეგი რაოდენობით თვითეულ კუბზე:

ა. საქართველოს რესპუბლიკაში აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა და მოკავშირე აფხაზეთითურთ:

ტფილისი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 2,0 ჩერვონცი.

ბათომი—საცხოვრებელი ნაგებობა შერეული 1,5 ჩერ.

სოხუმი—საცხოვრებელი ნაგებობა ხისა 1,0 ჩერვონცი.

ქუთაისი — არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,5 ჩერვონ. შერეული 0,4 ჩერვონ. ხისა 0,3 ჩერ.

აღმოსავლეთ საქართველოს და აფხაზეთის ქალაქებში: საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,3 ჩერვონცი. შერეული 1,0 ჩერვონ. ხისა 0,7 ჩერვონცი.

არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერვონცი. შერეული 0,3 ჩერ. ხისა 0,2 ჩერვონცი.

დასავლეთ საქართველოსა და აჭარისტანის ქალაქებში:

საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,2 ჩერვონცი. შერეული 0,8 ჩერ. ხისა 0,6 ჩერ.

არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერვონცი. შერეული 0,3 ჩერ. ხისა 0,2 ჩერვონცი.

ბ. აზერბეიჯანისა და ნახიჩევანის რესპუბლიკებში.

ბაქო, განჯა—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 2,0 ჩერვონ. შერეული 1,4 ჩერ. ხისა 1,2 ჩერ. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,6 ჩერ. შერეული 0,4 ჩერ. ხისა 0,3 ჩერვონ.

კუბა, ლენქორანი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,4 ჩერ. შერეული 1,0 ჩერ. ხისა 0,8 ჩერვონეცი. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერ. შერეული 0,3 ჩერ, ხისა 0,2 ჩერვონცი.

გ. სომხეთის რესპუბლიკაში.

ერევანი, ალექსანდროპოლი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 2,0 ჩერვონ. შერეული 1,2 ჩერ. ხისა 1,2 ჩერვონცი. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,6 ჩერვონ. შერეული 0,3 ჩერვონ. ხისა 0,3 ჩერ.

ვორონცოვკა—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,6 ჩერ. შერეული 1,0 ჩერვონ. ხისა 1,1 ჩერ.

არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,6 ჩერ. შერეული 0,3 ჩერ. ხისა 0,3 ჩერ.

ვაღარშაპატი, კარაკლისი, ჯელალ-ოღლი—საცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 1,4 ჩერ. შერეული 1,0 ჩერ. ხისა 0,8 ჩერვონ. არასაცხოვრებელი ნაგებობა ქვისა 0,4 ჩერ. შერეული 0,2 ჩერ. ხისა 0,2 ჩერ.

შენიშვნა 1: უკეთუ უძრავი ქონების მფლობელი ან მისი კანონიერი განმკარგულებელი მოისურვებს დაზღვევის აღნიშნული ქონება იმ ნორმის ზევით, რაც განსაზღვრულია სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევისათვის,—ასეთი ქონება შეიძლება მიღებულ იქნეს დასაზღვევად დამატებით—ნებაყოფლობითი დაზღვევის წესების საერთო საფუძველზე.

შენიშვნა 2. სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა არ ექვემდებარება:

ა) დაძველებული ნაგებობა, დანგრეული, რომელიც ვერ შეასრულებს რაიმე სამეურნეო დანიშნულებას და აგრეთვე საცხოვრებელი, დაუსახლებელი ნაგებობა, რომელსაც ამასთანავე არავინ იცავს; ბ) ნაგებობა, რაც ხელისუფლების განკარგულებით აღებულ უნდა იქნეს. ნიშნები, რომლის მიხედვითაც ნაგებობა ექვემდებარება სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევას, განისაზღვრება სათანადო აქტში სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლისა და სახლის მეპატრონესაგან, ხოლო უკეთუ უკანასკნელი სხვაგან იმყოფება —ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლისაგან.

მუხ. 4.

საგადანაკვეთო დაზღვევის წესით ქალაქების დასაზღვევ ქონებათა რეგისტრაცია და მათი გარეგანი გაზომვა თვითეული ნაგებობის კუბიკური სივრცის განსაზღვრისათვის, მოხდება სპეციალურად სამისოთ რწმუნება მოსილ და სათანადო მოწმობებით აღჭურვილ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის რეგისტრატორების მიერ სახლის მეპატრონეთა ან სახლის მფლობელობისათვის პასუხისმგებელი პირის თანადასწრებით; ამასთანავე აღნიშნულ პირთა დაუსწრებლობა ვერ შეაჩერებს რეგისტრატორის მუშაობას.

შენიშვნა. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, მილიციის წარმომადგენელნი ვალდებული არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ რეგისტრატორებს მათთვის მინდობილ მუშაობაში.

მუხ. 5.

საგადანაკვეთო დაზღვევის პრემია დაწესებულ უნდა იქნეს სავალდებულო დაზღვევის მიხედვით უძრავი ქონების ცეცხლისაგან დაზღვევის წესებისა და ტარიფების საფუძველზე; მთელი სადაზღვევო პერიოდისათვის 1923 წ. სექტემბრის 30-დე პრემია გადახდევინებულ უნდა იქნეს ნახევარ წლიური რაოდენობით. პრემია აღირიცხება ბანკნოტებით (ჩერვონცებით) და შეტანილ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ბონებით ან ჩერვონცებით.

მუხ. 6.

სადასაზღვეო სასყიდლის შესატანად დადგენილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადა—დაზღვევის დაწყებიდან, ე. ი. 1923 წ. ივნისის 1-დან ივნისის 30-დე; ამ ვადის გასვლის შემდეგ, 1923 წ. ივნისის 1-დან დაწყებული, მიერიცხება საურავი 10 პროც. რაოდენობისა თვითეული ვადა გადაცილებული ორ კვირისათვის.

უკეთუ სადასაზღვეო სასყიდლით შეტანილი არ იქნება პირველი ორი თვის განმავლობაში დაზღვევის დაწყებიდან, პრემია მირიცხული საურავითურთ გადახდევინებულ უნდა იქნეს,—1923 წ. აგვისტოს 1-დან დაწყებული,—უდავო წესისამებრ ადმინისტრატიულ ხასიათის ღონისძიებათა ხმარებით.

მუხ. 7.

იმ შემთხვევაში, როდესაც პრემია ამიერ-კავკასიის ბონებით იქნება გადახდილი, პრემია აღრიცხულ უნდა იქნეს ბანკნოტების (ჩერვონცების) ოფიციალური კურსით, რაც გადახდის დღეს იყო.

მუხ. 8.

ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი ბანკნოტებად (ჩერვონცებად) აღირიცხება და სადასაზღვეო საზღაური მიცემულ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ბონებით ბანკნოტების (ჩერვონცების) ოფიციალური კურსით, რაც იქნება მიცემის დღეს იმ უახლეს ცენტრში, სადაც იგი კურსი გამოქვეყნდება ხოლმე.

იმათთვის, ვისაც სადასაზღვევო გადასახადი არ შეუტანია ცეცხლის გაჩენამდე, ზარალი და აგრეთვე პრემია-საურავითურთ—აღირიცხება ბანკნოტების (ჩერვონცების) ოფიციალური კურსით, რაც იყო დაზღვევის დაწყების დღეს, ე. ი. 1923 წ. ივნისის კურსით.

მუხ. 9.

ამა თუ იმ გადამხდელზე მირიცხული სხვა და სხვა გვარი გადასახადების წარჩინების დასაფარავად შემოსული თანხებიდან პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ვადაზე გადაუხდელი სასყიდლის ნარჩენი სრულ გასწორებაზე.

მუხ. 10.

საგადანაკვეთო სადასაზღვეო პრემია გადახდილ უნდა იქნეს სადასაზღვეო ფურცლების თანახმად, რაც შედგენილი იქნება მე-4, 5. 6, 7 და 8 მუხ. აღნიშნული წესისამებრ და გადამხდელს მიეცემა სათანადო კვიტანცია გადასახდელის მიღების შესახებ.

მუხ. 11.

საგადანაკვეთო სადასაზღვეო გადასახდელი სახლის პატრონებისა ან სახლის მფლობელობისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ შეტანილ უნდა იქნეს: ტფილისში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს კასაში. ხოლო დანარჩენ ქალაქებში—სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოებისა და აგენტების კასაში.

მუხ. 12.

ყოველი დამაზღვეველი, უკეთუ მის კონებას ცეცხლი გაუჩნდება, მიიღებს საზღაურს, რაც ერგება დამწვარი ქონებისათვის, რაიმე გადასახადის გამოურიცხველად, გარდა სადასაზღვეო გადასახადისა.

მუხ. 13.

სადასაზღვეო საზღაურით მესამე პირთა პრეტენზიების დაკმაყოფილება არ შეიძლება თვინიერ სასამართლოს დადგენილებისა; აგრეთვე არ შეიძლება მისი კონფისკაცია და რეკვიზიცია. უკეთუ დაზღვეული ქონებით უზრუნველყოფილია, სესხი ან ავანსი, გაცემული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო ბანკების მიერ, ან რუსეთის სახელმწიფო ბანკის მიერ, ან სხვა საკრედიტო ან სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ან და სახელმწიფო ქონება კერძო პირის თუ დაწესებულების სარგებლობაშია იჯარით,—სადასაზღვეო საზღაური,—ვინაიდგან ამ ქონებას უბედურება შეემთხვევა,—მიეცემა პირველ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულებას, ხოლო მეორე შემთხვევაში—მესაკუთრე სახელმწიფოს.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. პოლისი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გ. სარუხანოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელთაც არ გადაუხდიათ საწევრო გადასახადი პირველ ივნისამდე, ათ დღეში შემოიტანონ სათანადო რაიონებში.

ამ წინადადების არ ასრულებისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

პასუხისმგებელ მდივნებს ევალებათ სასტიკად ადევნონ თვალყური საწევრო გადასახადის წესიერად შემოტანას.

თბ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

განცხადებები

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის
სახალხო მამულების განყოფილება ამით აცხადებს, რომ
ა. წ. 25 ივნისის
შუადღის 12 საათზე, განყოფილების ბინაზე (ევანგულოვის ქუჩა № 2) კომისარის ნებართვით დანიშნულია ზეპირი
საჯარო ვაჭრობა
ამა წლის
ხილის და ყურძნის მოსავლისა
შემდეგი სახალხო მამულებისა: სქრის, მერეთის, ბეთანია-აკურისის, სადახლოს (ხოჯორნი) და გიაურ-არხის (ყურძენი).
განმეორებითი ვაჭრობა მოხდება 2 ივლისს.
ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანონ განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება საღერბო გადასახადის გადახდით და ბე 5 ჩერვონეცი, ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად.
პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
კრ. 456 3—1

სრულიად-რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის სამხრეთ-აღმოსავლეთის განყოფილების ტფილისის კანტორა
აწოდებს სახელმწიფო ორგანოებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს ახლად მიღებულ ლანჩებს, „პოლუბელინებს" „სკოროხოდ"-ის ფეხსაცმელებს, სამუშაო ფეხსაცმელებს, შეკაზმულობას, შევროს, ხრომს, ლედებს და სხვ., რომლებიც დამზადებულია რუსეთის საუკეთესო ქარხნებში. კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეძლევათ შეღავათი
კანტორა: სასახლის ქუჩა № 5, მეორე სართული ტელ. 9—87. საბითუმო საწყობი, სომხის ბაზარი № 37.
კრ. 455 2—2 კანტორის გამგის დროებითი მოადგილე: მ. ხახაროვი.

რუსთაველის თეატრი
კვირას, ივნისის 17
გალაკტიონ ტაბიძის
საზეიმო საღამო
კრ. 423 7—2

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიული განყოფ.
გადავიდა
რუსთაველის პროსპექტზე № 27.
ყოფილი ევროპიული ნომრები, სახელმწიფო ოპერის გვერდით.
3—2

შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი
ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის იანვარში მოწვეულ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საქციო საზოგადოების არა ჩვეულებრივი საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია ამა წლის ივნისის 18-ში ქალაქ ჭიათურაში.
762 2—2 პრეზიდიუმი.

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. სა. კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 78825—2

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის დარბაზით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობისა
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალოს ხელმძღვანელობს ექ. სვიმონ ყიფშიძე [illegible]
ხელობით. ტფილისი, კორიდანოვის ქ. № 20. (501—25—23)

მუშათა ფაკულტეტზე და საერთო განათლების კურსებზე ვამზადებ ეგზამენისთვის გამოცდებზე. პლეხანოვის პროსპექტი № 25 (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 9—2 ს. 4 7 ს. 795 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიცემული ელისავეტპოლის გუბერნიის სოფ. ნოვო-სარატოვის აღმასკომის მიერ ივანე სერგეევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 851 და ჯარში აღრიცხვის ბარათი ფურცელი ბ., ალექსანდრე ლოლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ნიკოლოზ ზურაბიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა ხარლამპ დიანესას ძე გონგაძემ, ჩემი და იმავე დროს სოჯახო პასპორტი № 5112 მოცემული ქ. ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილებისაგან 3 მარტს 1923 წელს.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 6.000

აზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.